в) обеспечить своевременным финансированием строящиеся объекты и в случае необходимости составлять и представлять на утверждение руководству проекты увеличения финансирования по тем объектам, которые перевыполняют план за счет отстающих объектов;

г) не допускать какие-либо изменения в утвержденные и переданные подрядным строительным организациям проекты и сметы без согласования их с руководством Министерства.

2. Начальнику отдела технического надзора (Учанейшвили С. М.):

а) обеспечить строжайший контроль за работой инженеров технадзора, не допуская приписок к объемам выполненных работ, прием и оплату незаконченных объектов, а также выполненных с дефектами и недоделками, предупредив их, что в случае допущения вышеуказанных нарушений они будут строго наказываться, вплоть до снятия с работы и привлечения к ответственности;

б) ввести ежемесячный учет освоения средств по каждому объекту строительства по разделам направления таковых (строймонтажные работы, затраты на приобретение инвентаря и т. д.);

в) систематически проводить проверку хода строительства, в основном пусковых объектов, принимая соответствующие меры по выполнению планов капвложения, ввода в действие мощностей и улучшения качества работ.

3. Начальнику Управления снабжения и подсобных пред-

приятий (Тов. Арвеладзе С. Н.) обеспечить завоз и снабжение инвентарем и оборудованием все строящиеся школы и дошкольные учреждения, и в первую очередь пусковые объекты.

4. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, зав. отделом просвещения Юго-Осетинской АО, зав. отделом просвещения г. Тбилиси и зав. районными (городскими) отделами просвещения обеспечить постоянный контроль за ходом строительства объектов просвещения, своевременное перечисление средств подрядно-строительным организациям за выполненные работы и приобретение инвентаря и оборудования.

Приобретение и завоз инвентаря-оборудования для пусковых объектов закончить в III квартале.

5. Предупредить заведующих отделами просвещения, что за не выполнение плана строительства объектов просвещения на местах и ввод их в эксплуатацию в утвержденные сроки, несвоевременное приобретение оборудования и инвентаря, прием законченных объектов просвещения, а также образование неоправдываемой задол-женности подрядным строительным организациям они несут персональную ответственность.

6. Обязать инженеров технадзора тов. тов. Штейнберга, Тавберидзе, Чхиквадзе, Гваладзе и Сухишвили обеспечить ликвидацию дефектов и недоделок на строительстве детсадов-яслей в Ахмета, Адигени, Самтредиа, Они, Тианети, а также школ в Коджори, Мчадисджвари, Местия, Караджала и о принятых мерах доложить Министерству в месячный срок.

7. За необеспечение качественного технического надзора над объектами строительства, допущение приписки к объему выполненных работ и незаконную оплату их, прием объектов с большими недоделками и дефектами инж. технадзора Сухишвили Г. С. объявить строгий выговор.

8. За допущение образования задолженности, искусственное завышение объемов и приписки, а также за представление Министерству просвещения фиктивной справки о наличии освобожденной территории под строительство объектов просвещения в г. Кутаиси инж. технадзора Т. Тавберидзе объявить строгий выговор.

9 За необеспечение своевременной оплаты выполненных работ по строительству школ в Ахашени Гурджаанского района в сумме 9,0 т. р. зав. РОНО Тодашвили М. объявить выговор.

10. За необеспечение оплаты выполненных подрядно-строительной организацией работ и образования неоправдываемой задолженности по детсаду в Дманиси в сумме 27,0 т. р. зав. РОНО тов. Мансурову А. объявить выговор.

11. Принять к сведению, что инж. технадзора Дзулиашвили М. за допущение приема незаконченного строительства детсада в Адигени с оплатой стоимости, образования неоправдываемой задолженности по строительству детсада в Дманиси и приписки по этому объекту освобожден от работы.

12. За допущение задолженности по выполненным работам в 1967 году, несвоевременной оплаты предъявленных подрядной строительной организацией счетов, прием некачественно выполненных строительно-монтажных работ зав. отделом просвещения г. Кутаиси тов. Гендзехадзе И. В. зав. Карельским РОНО тов. Гогичайшвили Н., инженеров технадзора Чхиквадзе О. и Гегешидзе В. предупредить.

13. Просить Министерство строительства Грузинской ССР, Министерство сельского строительства Грузинской ССР и Министерство коммунального хозяйства Грузинской ССР:

а) рассмотреть ход строительства объектов просвещения и обеспечить в текущем году выполнение планов капвложения, ввода в действия мощностей и коренным образом улучшить качество выполняемых строймонтажных работ, запретив предъявление к сдаче незаконченных строительством объектов или выполненных с дефектами и недоделками;

б) обязать подчиненные им подрядно-строительные организации не задерживать предъявление счетов по выполненным ими строймонтажным работам, согласно актам приема выполненных работ, представляя эти счета для оплаты до первого числа последующего месяца, и строго наказать лиц, допустивших приписки к объему выполненных работ и предъявивших к сдаче объекты

просвещения незаконченных строительством, а также с недоделками и дефектами;

в) обязать соответствующие стройуправления в месячный срок ликвидировать недоделки и дефекты на строительстве детсадов-яслей в Ахмета, Тианети, Адигени, Они, Самтредиа, а также школ в Мчадисджвари, Коджори, Местия и Караджала.

Зам Министра просвещения Грузинской ССР
Уш. Оболадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 24 ივნისის ბრძანება № 400

### სტატისტიკური ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, მთელი რიგი რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები დანიშნულ ვადაზე არ ადგენენ სტატისტიკურ ანგარიშებს ან ადგენენ მეტად დაგვიანებით, მრავალგზის შეხსენების შემდეგ; ზოგჯერ წარმოდგენილი მასალები დაბალი ხარისხისაა და მათი გამოყენება შეუძლებელი ხდება. ეს გარემოება გამოწვეულია საქმისადმი განათლების ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის უპასუხისმგებლობით და წარმოდგენილი ანგარიშების შინაარსისადმი ფორმალური დამოკიდებულებით.

სტატისტიკური ანგარიში დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებზე 1967—1968 სასწავლო წლის დასაწყისისათვის (ფორ. რაკ № 76—ა) ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ წარმოადგინა 14 დღის დაგვიანებით, რამაც გამოიწვია ზემოაღნიშნული ნაერთი ანგარიშის ზემდგომ ორგანოებში წარდგენის ვადის დარღვევა.

დამატებითი ფორმები (დ—6, დ—8, დ—10) 15 დან 20 დღის დაგვიანებით წარმოადგინეს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, აბაშის, ადიგენის, მარნეულის რაიონების განათლების განყოფილებებმა.

სტატისტიკური ანგარიში საბავშვო ბაღებზე (ფორმა. რაკ № 78) 20 დღის დაგვიანებით წარმოადგინეს წულუკიძის, ჩოხატაურისა და გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებებმა, ხოლო სტატისტიკური ანგარიში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკებზე 1967 წლის 1 ოქტომბრისათვის (ფორ. რაკ №

83) 15 დღის დაგვიანებით წარმოადგინეს ბოგდანოვკის, ლენტეხის, ქარელისა და მარნეულის რაიონების განათლების განყოფილებებმა.

განათლების სამინისტროში წარმოდგენილ მრავალ სტატისტიკურ ანგარიშში დაშვებულია უხეში შეცდომები, პირველადი ფორმების მონაცემის ჯამი არ ემთხვევა ნაკრები ანგარიშების მონაცემებს. ფორმა რაკ 76—ა-ში მარნეულის რაიონის განათლების განყოფილებამ ფაქტიურზე 9 ერთეულით მეტი უჩვენა მეოთხე კლასებში. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში კონტინგენტი ფაქტიურზე 20 მოსწავლით ნაკლები უჩვენა. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ სტატისტიკურ ანგარიშში (ფორ. რაკ № 76—ა) აჩვენა 1700 შვიდწლიანი ბავშვით მეტი, მარნეულის რაიონმა—119 ბავშვით მეტი, ვანის რაიონის განათლების განყოფილებამ—91 ბავშვით მეტი და ა. შ.

ანგარიშების წარმოდგენის ვადის უხეში დარღვევა და მათში დაშვებული შეცდომები ხელს უშლის განათლების სამინისტროს აპარატს ნორმალურ მუშაობაში, იწვევს ზედმეტ მიმოწერას, ზედმეტ ხარჯებს, დროის უნაყოფოდ ფლანგვას; განათლების სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დადგენილ ვადებში წარუდგინოს საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სსრკ განათლების სამინისტროს ნაკრები ანგარიშები.

სტატისტიკური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების (რაიონების) განათლების განყოფილებათა გამგეების ყურადღება მიექცეს სტატისტიკური ანგარიშგების დაგვიანებით წარმოდგენისა და მათში არსებული უხეში შეცდომების დაუშვებლობაზე.

გაფრთხილებულ იქნენ ისინი, რომ სტატისტიკური ანგარიშგების წარმოდგენის ვადის დარღვევის, უხარისხოდ და არასწორად შედგენის შემთხვევაში მათ დაედებათ მკაცრი სასჯელი.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ უზრუნველყონ სასწავლო-ში დისციპლინის დამყარება და დაწესებულ ვადებში სწორად შედგენილი სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშების წარდგენა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოებში;

ბ) პირადად უხელმძღვანელონ განათლების სამინისტროში სტატისტიკური ანგარიშების დადგენილ ვადებში წარმოდგენის საქმეს, ხელი მოაწერონ სამინისტროში წარმოსადგენ ანგარიშებს მხოლოდ მასში შეტანილი ცნობების სისწორის შემოწმებისა და წინა წლის მასალებთან შედარების შემდეგ;

გ) დაავალონ განათლების სამინისტროსა და განათლების განყოფილებათა სასკოლო ინსპექტორებს სკოლებში სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის შემოწმებასთან ერთად, სტატისტიკურ ანგარიშებში შეტანილი ცნობების სისწორის შემოწმება; კერძოდ, კონტროლი გაუწიონ სკოლებში საანბანო წიგნების სწორად წარმოებას, მოსწავლეთა ზუსტ აღრიცხვას სასკოლო ჟურნალებში, მოსწავლეთა მოძრაობისა და სასწავლო წლის შედეგების სწორად ასახვას სტატისტიკურ ანგარიშებში;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის ჩატარების საქმეს და უზრუნველყონ ამ აღრიცხვის სისწორის დროული შემოწმება;

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) და სტატისტიკური განყოფილების გამგემ (ამხ. ზ. ბერუჩაშვილი):

ა) დააწესონ მკაცრი კონტროლი წარმოდგენილი ანგარიშების ხარისხზე და მათ დაწესებულ ვადებში წარმოდგენაზე; უხარისხოდ შედგენილი ანგარიშების წარმოდგენის ან წარმოდგენის ვადების დარღვევის შემთხვევაში, სათანადო ზომების მიღების მიზნით, საკითხი დააყენონ კოლეგიის წინაშე;

ბ) ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად მიმდინარე წელს ჩაატარონ განათლების ადგილობრივი ორგანოების საანგარიშო და სტატისტიკის მუშაკთა თათბირები და სემინარები სტატისტიკური აღრიცხვიანობის საქმის გაუმჯობესების საკითხებზე;

გ) დროულად უზრუნველყონ განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლები და სხვა საბავშვო დაწესებულებები პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციით.

4. საგეგმო—საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 14 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

УТВЕРЖДАЮ
Министр просвещения Груз. ССР
**Лашкарашвили Т. В.**

10 апреля 1968 года.

# ПОЛОЖЕНИЕ

## Республиканской детско-юношеской школы высшего спортивного мастерства Министерства просвещения Грузинской ССР

Республиканская детско-юношеская школа высшего спортивного мастерства Министерства просвещения Грузинской ССР является внешкольным специальным спортивным учебно-воспитательным учреждением.

### 1. Задачи школы

Спортивная школа ставит своей задачей:

1. Выявить из числа занимающихся в детско-юношеских спортшколах Республики наиболее одаренных школьников, укомплектовать из них сборные команды по видам спорта по возрастным группам, организовать с ними регулярные занятия, подготовить из них высококвалифицированных юных спортсменов с высокими моральными и волевыми качествами, готовых к труду и обороне социалистической Родины, активных строителей коммунистического общества.

2. По поручению отдела физического воспитания и спорта Министерства просвещения Грузинской ССР изучать вопросы, связанные с постановкой работы в детско-юношеских спортивных школах, в средних школах и школах-интернатах Республики и готовить материалы для отдела физического воспитания и спорта Министерства просвещения Грузинской ССР.

3. Совместно с методическим кабинетом физического воспитания Министерства просвещения Грузинской ССР обобщать передовой опыт работы в ДЮСШ, разрабатывать и совершенствовать методические материалы по спортивной тренировке ведущих спортсменов-учащихся, принимать активное участие в мероприятиях по улучшению учебной работы со школьниками Республики в организации семинаров по повышению квалификации тренеров, совещаний и конференций, проводимых Министерством просвещения Грузинской ССР.

4. По поручению отдела физического воспитания и спорта организовать и руководить соревнованиями и учебно-тренировочными сборами школьников, согласно утвержденному Министерством просвещения Грузинской ССР календарному плану спортивно-массовых мероприятий.

5. Для обеспечения круглогодичной учебно-тренировочной работы школы организовать в летний период спортивно-оздоровительный лагерь.

## II. Организация и структура спортивной школы

6. В спортивной школе существуют:

а) отдел сборных команд, с отделениями по видам спорта;

б) отдел материально-технического обеспечения (учебного процесса соревнований, учебно-тренировочных сборов);

в) отдел школ-интернатов, спортивных школ и внеклассно-внешкольной спортивной работы;

г) отдел тренеров-консультантов по общим и специальным вопросам работы школ.

Отделы возглавляются штатными главными тренерами—заведующими отделами.

Штатное расписание спортивной школы, должностные оклады и количественный контингент учащихся утверждается Министерством просвещения Грузинской ССР.

7. В отделениях по видам спорта создаются учебные группы:

а) спортивного совершенствования (для членов и кандидатов в сборную до II разряда включительно);

б) спортивного мастерства (для I разрядников, к/м и мастеров спорта);

перспективных спортсменов младших возрастов.

8. При спортивной школе существует:

а) стадион с подсобными помещениями;

б) легкоатлетический зал-манеж;

в) врачебный кабинет;

г) фото-лаборатория;

д) клуб с кино-демонстрационной установкой;

е) радио узел;

ж) котельная;

з) склад для спортивной формы и инвентаря.

## III. Комплектование спортшколы и содержание ее учебно-воспитательной работы

9. Школа высшего спортивного мастерства является комплексной. Она комплектуется школьниками из числа наиболее способных учащихся ДЮСШ по видам спорта.

Комплектование отделений призводится по спортивно-техническим результатам, показанным на республиканских или других официальных соревнованиях.

Рекомендованные для поступления учащиеся, кроме заявлений о зачислении в спортшколу, представляют копию свидетельства о рождении, табель успеваемости или справку из средней школы, классификационный билет и характеристику—рекомендацию, выданную ДЮСШ, в которой он обучался.

На учащегося врачебная справка составляется в спортивной школе или врачебно-физкультурном диспансере.

План комплектования отделений по видам спорта, количество учебных групп. число занимающихся в них, а также смета на их обслуживание утверждается Министерством просвещения по представлению спортивной школы. Комплектование групп в отделениях должны соответствовать требованиям, установленным в зависимости от специфики видов спорта. В спортивной школе учащиеся остаются до истечения юношеского возраста.

**Примечание.** В исключительных случаях с разрешения вышестоящих органов учащиеся спортивной школы могут оставаться в группах до 22-летнего возраста.



ეროვნული ბიბლიოთეკა

10. Школа ведет работу по следующим направлениям:

а) учебно-тренировочные занятия в группах, созданных в г. Тбилиси;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

б) в группах на местах: в городах и районах республики;

в) в группах на плановых сборах 3 раза в год (во время школьных каникул);

г) и летом — в группах, созданных в спортивных лагерях.

Кроме того, школа ведет работу:

по организации надзора над учебно-тренировочной работой других спортивных школ республики, осуществляя консультацию, контроль и помощь членам и кандидатам в сборные команды республики по видам спорта.

Учебно-тренировочная работа в отделениях по видам спорта проводится круглогодично по учебным планам и программам, утвержденным Центральным Советом Союза спортобществ и организаций СССР.

11. Основными формами учебно-тренировочной работы являются: занятия в учебных группах, тренировки по индивидуальным планам, участие в соревнованиях, тренировка на учебно-тренировочном сборе, пребывание в спортивно-оздоровительном лагере, просмотр учебных кинофильмов, беседы, лекции и консультации по теоретическим и практическим вопросам спорта.

12. Воспитательную работу с юными спортсменами спортивная школа проводит в процессе учебно-тренировочных занятий, соревнований, оздоровительно-туристических мероприятий по плану, утвержденному директором школы.

## IV. Руководство спортивной школы

13. Спортивная школа осуществляет свою работу под руководством отдела физвоспитания и спорта Министерства просвещения Грузинской ССР.

14. Спортивную школу возглавляет директор, назначаемый из числа специалистов, имеющих высшее физкультурное образование и тренерско-преподавательский опыт работы.

Директор несет ответственность за организацию всей работы школы (подбор и организация работы тренерско-преподава-

тельского, административно-хозяйственного состава, комплектование школы учащимися и др.).

15. Учебно-тренировочный процесс школы возглавляет заведующий учебной частью назначаемый из числа специалистов, имеющих высшее физкультурное образование.

Заведующий учебной частью, совместно с зав. отделом сборных команд несет ответственность за организацию учебного процесса, работу главных тренеров-преподавателей, ведение учета успеваемости, комплектование учебных групп, планирование учебной работы (расписание занятий, учебных планов-графиков, рассмотрение и утверждение учебной документации в отделениях), организацию и проведение соревнований и учебно-тренировочных сборов, а также организацию мероприятий по повышению квалификации тренеров школ.

16. Отдел сборных команд возглавляет и направляет работу главных тренеров. В отделе сборных команд создаются отделения по видам спорта, возглавляемые главными тренерами.

Главные тренеры несут ответственность за развитие видов спорта, за комплектование и подготовку сборных команд Министерства просвещения Грузинской ССР. Они возглавляют всю учебно-тренировочную работу в отделениях, несут ответственность за правильную организацию учебно—тренировочных групп, планирование учебной работы, ведение учета успеваемости. Рекомендуют к работе тренерско-преподавательский состав, составляют календарь спортивных мероприятий по своему виду спорта, возглавляют работу тренерского совета отделения, руководят организацией и проведением соревнований и учебно-тренировочных сборов. По поручению Министерства просвещения Грузинской ССР изучают работу детско-юношеских школ Республики и готовят материалы для обсуждения этих вопросов в отделе физвоспитания и спорта Министерства просвещения.

17. Директор, заведующий учебной частью, заведующие отделами и главные тренеры имеют право вести в спортивной школе тренерско-преподавательскую работу не более одной группы или 50 часов в месяц.

18. Отдел обеспечения материально-техническими средствами учебного процесса, соревнований и учебно-тренировочных сборов возглавляет главный тренер-заведующий отделом, который несет ответсвенность за качественное обеспечение учебного процесса необходимым инвентарем, спортивной формой, базами для занятий и питанием участников соревнований и учебно-тренировочных сборов.

19. Помощник директора по административно-хозяйственной части несет ответственность за всю административно-хозяйственную работу школы, обеспечивает выполнение поручений директора по этой работе.

20. В школе высшего спортивного мастерства создаются педагогический совет, который работает под руководством директора. В состав педагогического совета входят: заведующий учебной частью, все главные тренеры, инструктор-методист, врач, помощник директора по административно-хозяйственной части и заведующий стадионом. Педагогический совет спортивной щколы собирается не реже одного раза в квартале. Кроме тренерского совета спортивной школы, работают тренерские советы по отдельным видам спорта под руководством главных тренеров. Тренерские советы отделений со бираются в месяц раз.

21. Назначение, перемещение и увольнение директора, заведующего учебной частью, инструктора-методиста, главных и старших тренеров производится приказом по Министерству просвещения Грузинской ССР.

## V. Обязанности и права занимающихся

22. Занимающийся в спортивной школе обязан:

а) систематически посещать учебные занятия, поддерживать порядок и дисциплину в группе, активно принимать участие в проводимых школой мероприятиях, вести дневник тренировок;

б) сочетать занятия в спортивной школе с успешными занятиями в общеобразовательной школе;

в) добиваться высоких спортивно-технических результатов;

г) получить звание общественного инструктора и судьи по спорту;

ეროვნული ბიბლიოთეკა

д) своевременно проходить медосмотр и соблюдать правила личной гигиены.

Занимающийся в спортивной школе имеет право:

а) выступать в соревнованиях за ДЮСШ и организацию, из которой они были зачислены в спортивную школу;

б) пользоваться спортивной формой (согласно утвержденному табелю), инвентарем, учебными пособиями, принадлежащими спортивной школе;

в) носить эмблему и значок спортивной школы;

г) выпускникам спортивной школы с I разрядом выдается диплом, а со II разрядом—свидетельство.

23. За спортивные успехи, отличную дисциплину занимающиеся поощряются благодарностью с занесением в книгу почета школы, награждением грамотой.

За нарушение дисциплины и неуспеваемость к занимающимся применяются меры взыскания вплоть до отчисления их из спортшколы.

## VI. Планирование учет и документация работы школы

24. Спортивная щкола должна иметь следующую документацию, составленную на основе докладных записок главных тренеров по видам спорта:

годовой план работы школы;

план комплектования отделений и учебных групп по видам спорта;

календарный план спортивно-массовых мероприятий;

перспективный план подготовки юных спортсменов по видам спорта;

план строительства и ремонта (капитального и текущего) спортивной базы, обеспечения школы инвентарем, оборудованием и спортивной формой;

учебные планы и программы по видам спорта;

книгу учета разрядников школы;

книгу рекордов школы по возрастным группам;

книгу приказов школы;

книгу почета школы;

расписание занятий:

25. Тренеры спортивной школы должны иметь следующую документацию:

а) годовой план подготовки группы;

б) месячные рабочие планы на группу;

в) планы-конспекты уроков;

г) журнал учета работы тренера.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIII. Медицинский контроль

26. Медицинский контроль в спортивной школе осуществляется под руководством врача школы.

На каждого учащегося заполняется врачебно-контрольная карточка установленного образца, хранящаяся в личном деле занимающегося.

## VIII. Материальная база, штаты и юридические права

27. Финансирование спортивной школы осуществляется Министерством просвещения Грузинской ССР.

28. Спортивная школа имеет юридические права, подведомственного Министерству просвещения учебного заведения, собственный, штамп установленного образца, печать и утвержденный Министерством просвещения Грузинской ССР лицевой счет.

29. Штаты, должностные оклады и контингенты утверждаются Министерством просвещения Грузинской ССР в установленном порядке.

30. Спортивная школа имеет право заключать различные договоры и трудовые соглашения, связанные с ее работой в пределах, утвержденных ассигнований и смет.

31. Спортивная школа располагает комплексной базой—стадионом им. Ленина (легкая атлетика, футбол) и л/атлетическим залом—манежом, сметы которых утверждаются Министерством-просвещения Грузинской ССР.

32. Спортивная школа может быть ликвидирована решением Министерства просвещения Грузинской ССР.

## IX. Форма и эмблема

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. Для спортивной школы Министерство просвещения Грузинской ССР утверждает единую форму и эмблему.

Отдел физвоспитания и спорта Министерства просвещения Грузинской ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის**

# დადგენილება

1968 წელი, 14 ივნისი

## 1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ გასულ წელს რესპუბლიკის მშრომელებმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით, დიდი მუშაობა ჩაატარეს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ქ. თბილისი, ქ. ჭიათურა, ზუგდიდის, თელავის, გორისა და ცხაკაიას რაიონები, სადაც სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების კეთილმოწყობაზე დაიხარჯა სამ მილიონ მანეთზე მეტი საზოგადოებრივი თანხა.

მაგრამ ამასთან ერთად გასულ წელს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მოსამზადებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში არ ჩაბმულან ბოგდანოვკის, გარდაბნის, მარნეულის, ხაშურის, ჯავის, ყაზბეგის, სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირის, გალის, გულრიფშის რაიონები და ქ. სოხუმი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი მტკიცედ

ხელმძღვანელობენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებს მოწყობილობა და მასალები, აგრეთვე ზეგეგმითი დაგროვებათა ანგარიშზე გაიღონ სკოლების მშენებლობების, რემონტისა და აღჭურვისათვის სახსრები.

მიმდინარე ხუთწლედში ძირითადად უნდა დამთავრდეს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, ამისათვის კი საჭიროა ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა, განვამტკიცოთ სკოლების მატერიალური ბაზა, რაციონალურად და სრულად გამოვიყენოთ სახალხო განათლებისათვის გამოყოფილი სახსრები და შეფი ორგანიზაციების დახმარება.

1968—1869 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მოსამზადებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა დროულად და ფართოდ გაშალონ შეჯიბრება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საყოველთაო-სავალდებულო განათლების განხორციელებას; გულდასმით აღრიცხონ პირველ კლასში მისაღები შვიდი წლისა და სკოლიდან გასული ან სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვები და მოზარდები და უზრუნველყონ მათი სწავლებაში ჩაბმა; მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი სკოლების მატერიალური და სასწავლო ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

2. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: ლ. მაღლაფერიძე (თავმჯდომარე), მ. ქოჩაკიძე, დ. ჯავახია (მდივანი), ვ. ჩინჩალაძე, ს. არველაძე, რ. კანდელაკი, ალ. კვაჭაძე, ს. დადიანი.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყო-

ფილებათა გამგეებმა და პროფკავშირის საქალაქო, რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა ახალი სასწავლო წლისათვის წარმატებით მოსამზადებლად ნაკისრი ვალდებულებების ასლები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებები წარმოუდგინონ კომისიას 10 ივლისისათვის, მზადების მიმდინარეობის ანგარიში 10 აგვისტოსათვის, ხოლო 1 ოქტომბრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, საბოლოოდ დაჯამებული მასალები, დაწესებული ფორმების მიხედვით.

4. 1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები განხილული იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე 1968 წლის 15 ოქტომბრამდე, ხოლო გამარჯვებულ რაიონებზე დროშების გადაცემა მოხდეს 1969 წლის 1 იანვრამდე.

5. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ქოჩაკიძემ დააწესოს ზედამხედველობა ამ დადგენილების შესრულებაზე.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე **უშ. იბოლაძე** | განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 17 ივნისის ბრძანება № 382

### მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ

ვაცხადებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებას მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“.

„ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის, სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ გაშლისა და სრულყოფის პირობებში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების სწორად და დროულად განხილვას.

მოქალაქეთა წინადადებანი, პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრების, კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა მონაწილეობის, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი ფორმაა. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე წინადადებათა რიცხვის ზრდა იმის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რომ განუწყვეტლივ იზრდება საბჭოთა ხალხის პოლიტიკური აქტივობა.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალურ-კულტურულ, საბინაო-საყოფაცხოვრებო და მოქალაქეთათვის მინიჭებულ უფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების განხილვას.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში საჩივრები, როგორც წესი, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების ფორმაა, ამ დარღვევათა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების სა-

შეალებაა. ისინი მოწმობენ იმასაც, რომ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია ბევრ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოთა მუშაობაში. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის თანმიმდევრული გაუმჯობესება, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება იწვევს მოქალაქეთა საჩივრების რიცხვის შემცირებას.

არის შემთხვევები, როცა დროზე არ განიხილავენ საჩივრებს და განცხადებებს, ფორმალურ პასუხს აძლევენ მათზე, საკმაოდ არ ხორციელდება კონტროლი, მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ხშირად სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავს არიდებენ წინადადებათა, განცხადებათა და საჩივართა გამო გადაწყვეტილებების გამოტანას, პირადად არ იღებენ მოქალაქეებს. თანამდებობის პირნი, რომელთაც დანაშაული მიუძღვით საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმში, ხშირად დაუსჯელი რჩებიან. ცალკეული სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში ჯეროვნად არ განაზოგადებენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს; არ სწავლობენ საჩივრის გამომწვევ პირობებსა და მიზეზებს და დროზე არ იღებენ ღონისძიებებს ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად; მოსახლეობაში სუსტად წარმოებს საბჭოთა კანონმდებლობის განმარტება. მთელ რიგ შემთხვევებში მოქალაქენი გვერდს უვლიან ადგილობრივ ორგანოებს და უშუალოდ მიმართავენ ზემდგომ ორგანოებს, რითაც თვითონ აჭიანურებენ საქმეს, რადგან ზემდგომი ორგანოები, რომლებიც იცავენ რა კანონს და მოქალაქეთა და სახელმწიფოს ინტერესებს, იძულებულნი არიან შეკრიბონ შესაბამისი ცნობები ადგილებზე და ამრიგად დააყენონ განცხადებათა და საჩივართა განხილვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობები იმისათვის, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებმა განახორციელონ მინიჭებული და გარანტირებული უფლება წინადადებებით, განცხადებებითა და საჩივრებით მიმართონ წერილობითი თუ სიტყვიერი ფორმით.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათი ხელმძღვანელები და სხვა თანა-

მღებობის პირნი მოვალენი არიან მიიღონ და თავიანთი უფლე-მოსილების შესაბამისად გადაწყვიტონ მოქალაქეთა წინადადებანი, განცხადებანი და საჩივრები.

ბიბლიოთეკა

2. მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს სახელმწიფო ორგანოები წყვეტენ თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სსრ კავშირის ორგანოები წყვეტენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სსრ კავშირის გამგებლობაში შემავალ საკითხებს.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივ გამგებლობაში შემავალ საკითხებზე სსრ კავშირის ორგანოები მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს წყვეტენ მაშინ, როცა ეს საკითხები შედის საკავშირო ორგანოების კომპეტენციაში, აგრეთვე იმ გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვის წესით, რომლებიც განცხადებებისა და საჩივრების გამო მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა ორგანოებმა, თუ ეს გადაწყვეტილებანი არ შესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას.

სხვა საკითხებზე მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გამო გადაწყვეტილება გამოაქვთ მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოებს.

3. მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვის მიზნით:

მოქალაქეებს წინადადებანი და განცხადებანი შეაქვთ იმ სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ან იმ თანამდებობის პირებთან, რომელთა უშუალო გამგებლობაშია მოცემული საკითხის გადაჭრა.

საჩივრები შეაქვთ იმ ორგანოებში ან იმ თანამდებობის პირებთან, რომლებსაც უშუალოდ ექვემდებარებიან სახელმწიფო ორგანო, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან თანამდებობის პირი, რომელთა მოქმედებასაც უჩივიან.

საჩივრები კოლმეურნეობებისა და იმ სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების საერთო კრებების გადაწყვეტილებათა გამო, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი ზემდგომი ორგანოები, აგრეთვე სა-

ჩივრები იმ საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების გადაწყვეტილებათა გამო, რომლებიც მოქმედებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობით, და შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებში.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჩივრების შეტანა შეიძლება რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში.

4. სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი თანამდებობის პირები, რომელთა გამგებლობაში არ შედის წინადადებებში, განცხადებებსა თუ საჩივრებში დასმული საკითხების გადაჭრა, გზავნიან მათ არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა შესაბამის დაწესებულებებში და ამის შესახებ აცნობებენ განმცხადებლებს, ხოლო პირადად მიღების დროს განუმარტავენ ვის უნდა მიმართონ წინადადებით, განცხადებებითა თუ საჩივრით.

5. აკრძალულია მოქალაქეთა საჩივრების გაგზავნა გადასაჭრელად იმ თანამდებობის პირთათვის, რომელთა მოქმედებასაც უჩივიან.

6. სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი არიან პირადად იღებდნენ მოქალაქეებს.

მოქალაქეთა მიღება უნდა წარმოებდეს დადგენილ და მათთვის ცნობილ დღეებსა და საათებში, მოსახლეობისათვის მოსახერხებელ დროს, საჭირო შემთხვევებში—საღამოს საათებში.

პირადი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინადადებების განცხადებებისა და საჩივრების მიღებისა და განხილვის მოწყობისათვის სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ეკისრებათ მათს ხელმძღვანელებს.

7. თანამდებობის პირნი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გამო გადაწყვეტილების გამოტანისას მოვალენი არიან:

ყურადღებით გაერკვნენ მათს არსში, საჭირო შემთხვევაში მოითხოვონ შესაბამისი დოკუმენტები, გაგზავნონ მუშაკები ადგილებზე შესამოწმებლად და განახორციელონ სხვა ღონისძიებანი საკითხის ობიექტურად გადაჭრისათვის.

გამოიტანონ დასაბუთებული გადაწყვეტილებანი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების თაობაზე და უზრუნველყონ ამ გადაწყვეტილებათა დროულად და სწორად შესრულება;

აცნობონ მოქალაქეებს მათი წინადადებების, განცხადებებისა თუ საჩივრების გამო მიღებული გადაწყვეტილებანი, ხოლო მათი უარყოფის შემთხვევაში აღნიშნონ მოტივები;

დროულად გამოავლინონ და აღმოფხვრან მიზეზები, რომლებიც იწვევენ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევას.

8. მოქალაქეს, რომელიც არ ეთანხმება მისი განცხადების თუ საჩივრის გამო მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებიან სახელმწიფო ორგანო, საწარმო, დაწესებულება თუ ორგანიზაცია, რომლებმაც მიიღეს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება.

9. განცხადებებისა და საჩივრების გამო გადაწყვეტილებანი ყველა ორგანოში უნდა გამოიტანონ ერთ თვემდე ვადაში, ხოლო იმ განცხადებებისა და საჩივრების გამო, რომლებიც არ მოითხოვენ დამატებით შესწავლასა და შემოწმებას,— დაუყოვნებლივ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 15 დღისა იმ ორგანოში მათი მიღების დღიდან, რომელსაც ევალება საკითხის არსებითად გადაჭრა.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს შემცირებული ვადები განცხადებებისა და საჩივრების გამო გადაწყვეტილებათა გამოტანისა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებში, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

იმ შემთხვევაში, როცა განცხადებისა თუ საჩივრის გამო გადაწყვეტილების გამოსატანად საჭიროა სპეციალური შემოწმება, დამატებითი მასალების გამოთხოვა და სხვა ღონისძიებათა განხორციელება, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელს ან ხელმძღვანელის მოადგილეს შეუძლია გამონაკლისის წესით გააგრძელოს განცხადების და საჩივრის გადაწყვეტის ვადა, მაგრამ სულ ბევრი ერთი თვით და ეს აცნობოს იმ პირს, რომელმაც განცხადება თუ საჩივარი შეიტანა.

მოქალაქეთა წინადადებანი განიხილება ერთ თვემდე ვადაში,

გარდა იმ წინადადებებისა, რომლებიც დამატებით შესწავლას/საჭიროებს.

10. სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წინადადებები, განცხადებები და საჩივრები წყდება:

სსრ კავშირის ორგანოებსა და რესპუბლიკურ ორგანოებში 15 დღის ვადაში იმ ორგანოში მათი შეტანის შემდეგ, რომელიც ვალდებულია საკითხი არსებითად გადაწყვიტოს.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში— გადაუდებლად, მაგრამ არა უგვიანეს 7 დღისა იმ ორგანოში განცხადებებისა თუ საჩივრების შეტანის შემდეგ, რომელიც ვალდებულია არსებითად გადაწყვიტოს საკითხი;

იმ შემთხვევაში, როცა განცხადებისა თუ საჩივრის გამო გადაწყვეტილების გამოსატანად საჭიროა სპეციალური შემოწმება, დამატებითი მასალის გამოთხოვა და სხვა ღონისძიებათა განხორციელება, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელს ან ხელმძღვანელის მოადგილეს შეუძლია გამონაკლისის წესით გააგრძელოს განცხადებისა თუ საჩივრის გადაწყვეტის ვადა, მაგრამ სულ ბევრი 15 დღით და ეს აცნობოს იმ პირს, რომელმაც განცხადება თუ საჩივარი შეიტანა.

სამხედრო მოსამსახურეთა წინადადებანი, განცხადებანი და საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურის გავლასთან, განიხილება და გადაწყდება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდებისა და სადისციპლინო წესდების შესაბამისად.

11. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებიდან მიღებული მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, აგრეთვე მათ გადაწყვეტასთან დაკავშირებული გამოსვლები და პრესაში გამოქვეყნებული სხვა მასალები განიხილება ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული წესით და ვადებში.

12. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოქალაქეთა წინადადებების განცხადებებისა და საჩივრების განსახილველად იზიდავენ შესაბამისი საბჭოების დეპუტატებსა და აქტივს წინადადების, განცხადებებისა და საჩივრების განსახილველად, მათ გამო დამატებით შემოწმებათა მოსაწყობად და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად, სახელმწიფო ორგანოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები იზიდავენ საზოგადოე-

ბრიობის წარმომადგენლებს, სახალხო კონტროლის აქტივს, მოწი-
ნავე მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჭირო შემთხვევაში მოქალაქეთა წინადადებანი აგრეთვე იმ განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის შედეგები, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, განხილული უნდა იქნას საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივების საერთო კრებებზე და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

13. დადგინდეს, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია სისტემატურად შეამოწმოს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. განახორციელოს ღონისძიებანი იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იწვევენ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევას, განმეორებით განცხადებებსა და საჩივრებს.

14. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან სისტემატურად შეამოწმონ აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმის მდგომარეობა, და შემოწმების შედეგები მოისმინონ თავიანთ სხდომებზე, ხოლო საჭირო შემთხვევაში გაიტანონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიების განსახილველად.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებმა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პერიოდულად უნდა ჩააბარონ ანგარიში წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის შესახებ, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებს, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებს, აგრეთვე მოქალაქეთა კრებებს.

15. მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დადგენილი წესის დარღვევისათვის, გაჭიანურებისათვის, წინადადებებისადმი, განცხადებებისა და საჩივრებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის, დამნაშავე თანამ-

დებობის პირებს ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა მო-
ქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იგივე ქმედობისათვის, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა
სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს ან მოქალაქეთა კა-
ნონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე იმისათვის,
რომ დევნიან მოქალაქეებს საჩივრებისა ან განცხადებების შეტა-
ნისათვის, თანამდებობის პირებს ეკისრებათ სისხლისსამართლებ-
ლივი პასუხისმგებლობა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სა-
მართლის კოდექსების თანამდებობითი დანაშაულის შესახებ მუხ-
ლების შესაბამისად.

მოქალაქეს, რომელიც საჩივარს ან განცხადებას შეიტანს
ცილისწამების მიზნით, ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონ-
მდებლობის შესაბამისად.

16. პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოებმა
სისტემატურად უნდა გაუწიონ ზედამხედველობა და კონტროლი
საბჭოთა კანონების შესრულებას მოქალაქეთა წინადადებების, გან-
ცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს, შეამოწმონ ამ მუ-
შაობის მდგომარეობა ყველა სამინისტროსა და უწყებაში. მათდა-
მი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანი-
ზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და
საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, და მკაცრად აგებინონ პასუხი
იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის კანონების დარღვევაში, საქმის გაჭია-
ნურებაში, ფორმალიზმში, ბიუროკრატიზმში, და წინადადებების,
განცხადებებისა და საჩივრების გამო გამოტანილ გადაწყვეტილება-
თა შესრულებაში.

17. ამ ბრძანებულების მოქმედება არა ვრცელდება მოქალა-
ქეთა იმ საჩივრებზე, განცხადებებსა და წინადადებებზე, რომლებიც
განიხილება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხ-
ლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, შრომითი დავის
განხილვის წესის შესახებ დებულებით, აღმოჩენების, გამოგონებე-
ბისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ დებულე-
ბით და სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოე-
ბის პრეზიდიუმებს, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა
შეუფარდონ ამ ბრძანებულებას.

19. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის ცენტრალუ-
რი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის 13 აპ-

რილის დადგენილება „მშრომელთა საჩივრების განხილვისა და მათ გამო საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1933 წ. № 26, 153. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილება „მშრომელთა საჩივრების გარჩევის საქმის ვითარების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული. 1936 წელი № 31, მუხლი 274) და მისი დამატება, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1937 წლის 7 მაისის განმარტების საფუძველზე“.

ამ ბრძანებულების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს ზუსტად იხელმძღვანელონ ამ ბრძანებულებით და განუხრელად გაატარონ ამ ბრძანებულებითვე დადგენილი წესები;

ბ) მოქალაქეთა პირადად მიღების უზრუნველყოფის მიზნით დააწესონ მიღების მტკიცე დღეები და საათები მოსახლეობისათვის მოსახერხებელ და მათთვის ცნობილ დროს;

გ) გადაწყვეტილებანი იმ განცხადებებსა და საჩივრებზე, რომლებიც დამატებითი შესწავლასა და შემოწმებას არ მოითხოვვენ გამოიტანონ დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენებზე არაუგვიანეს ბრძანებულებით დაწესებული ვადებისა;

დ) მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განსახილველად და დამატებითი შემოწმების მოსაწყობად და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად ფართოდ გამოიყენონ პენსიონერ-მასწავლებლები, სახალხო კონტროლის წევრები და სხვა ნებაყოფლობითი აქტივი.

2. პასუხისმგებლობას მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების მიღებისა და მათი სწორად გადაწყვეტისათვის ვაკისრებ პირადად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებს, ასსრ განათლების მინისტრებს და ოლქისა და რაიონის (ქალაქის) განათლების გან-

ყოფილებათა გამგეებს და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულება—ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა აღნიშნული ბრძანება განიხილონ კოლეგიებისა და განათლების საბჭოების გაფართოებულ სხდომებზე, აქტივის მონაწილეობით.

4. გაზეთ „სახალხო განათლებამ" განათლების ორგანოებსა და სკოლებში მშრომელთა წერილების განხილვის მდგომარეობის საკითხებს ფართოდ დაუთმოს ადგილი გაზეთის ფურცლებზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 14 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 19 ივნისის ბრძანება № 388

### მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობის შესახებ

გავეცანი, რა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე 1967 წელს ჩატარებულ და 1968 წელს მიმდინარე მუშაობას, აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 30 დეკემბრის დადგენილების სა ფუძველზე მასწავლებელთა დახელოვნების ახალი ფორმის დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების ორგანიზაციისა და მის მუშაობაში რესპუბლიკის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის იმ მასწავლებელთა ჩაბმისათვის, რომლებიც საჭიროებდნენ უფრო მეტ კონკრეტულ დახმარებას, თეორიულ საკითხებსა და საგანთა სწავლების მეთოდიკაში.

აღსანიშნავია, რომ დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების პროგრამების შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების შესაბამისმა კათედრებმა, კურსების საჭიროებისათვის გამოყენებული იქნა აგრეთვე ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზები.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციამ ინსტიტუტის მუშაკებთან ერთად, კურსებზე ლექციების წასაკითხად და სემინარული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის მოიწვია რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები, რითაც კიდევ უფრო აამაღლა მასწავლებლებისადმი კვალიფიციური დახმარების ხარისხი.

სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე მასწავლებელთა შესაფერისი კონტინგენტის მივლინების საქმეს ქ. ქუთაისის, ახმეტის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დუშეთის, თელავის, კასპის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მახარაძის, ქარელის, ცაგერის, ცხაკაიას, ხაშურისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები.

1967 წელს კურსები გაიარა ქართული ენისა და ლიტერატურის—51, რუსული ენისა და ლიტერატურის—68, მათემატიკის—58, ფიზიკის—76, და ქიმიის 46 მასწავლებელმა. მსმენელთა დიდმა ნაწილმა სწორად გაიგო დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მიზანი და მონდომებული მუშაობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი მუშაობა სკოლებში.

მაგრამ ამასთან ერთად, ქართული ენისა და ლიტერატურის 3-მა, რუსული ენისა და ლიტერატურის—12-მა, მათემატიკის—18-მა, ფიზიკის 18-მა და ქიმიის—6-მა მასწავლებელმა მთლიანად ვერ შეასრულეს საკურსო დავალებები; სათანადოდ ვერ აიმაღლეს თეორიული ცოდნა და ვერ სრულყვეს სწავლების ხერხები და მეთოდები, რის გამოც დარჩნენ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდური კაბინეტებისა და შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა მეთოდური კაბინეტების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ.

მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ დაძლია დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების პროგრამა, საკონტროლო დავალებების შესრულებისას და საკურსო ჩათვლებში აშკარად გამომჟღავნდა მათ მიერ საგნის ცოდნისა და მეთოდური მომზადების მეტად დაბალი დონე. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან **ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები:** შ. მინდიაშვილი (გორის რაიონი, ზერტის რვაწლიანი სკოლა), მ. ჭელიძე (თეთრიწყაროს რაიონი, ასურეთის საშუალო სკოლა), თ. ჯვარშეიშვილი და თ. ფეიქრიშვილი (ქ. თბილისის 22-ე და 55-ე საშუალო სკოლები), ჯ. გურგენიძე (ლანჩხუთის რაიონი, შრომისუბნის რვაწლიანი სკოლა), მ. ბასარია (გალის რაიონი, ხუმუშკენის რვაწლიანი სკოლა).

**რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები:** ქ. დარჯანია (გეგეჭკორის რაიონი, ნაჯახაოს რვაწლიანი სკოლა), ქ. სვანიძე (ცაგერის რაიონი, მახაშის რვაწლიანი სკოლა), თ. მაჭა-

ვარიანი (გორის რაიონი, ფლავის საშუალო სკოლა), გ. ზარიძე (ასპინძის რაიონი, თოკის რვაწლიანი სკოლა), გ. სივსივა (ცაგერის სკოლა-ინტერნატი), ვ. ხუბულავა (ზუგდიდის რაიონი, [illegible]ნჯის საშუალო სკოლა), ს. ნადირაძე (საჩხერის რაიონი, საირხის საშუალო სკოლა), დ. ჩიქოვანი (წულუკიძის რაიონი, გორდის სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მათემატიკის მასწავლებლები:** ი. სანიკიძე (ცხაკაიას რაიონი, კოტიანეთის რვაწლიანი სკოლა), ო. ფრუიძე (ცაგერის რაიონი, ცხუკუშერის საშუალო სკოლა), დ. მამარდაშვილი (ცაგერის რაიონი), ზ. სვანიძე (ცაგერის რაიონი, ტვიშის რვაწლიანი სკოლა), თ. სიბაშვილი (გურჯაანის რაიონი, ვეჯინის საშუალო სკოლა), დ. ანთია (გალის რაიონი, წარჩის საშუალო სკოლა), უ. შარანგია (გალის რაიონი, მუხურის საშუალო სკოლა, გ. ლაგვილავა (ჩხოროწყუს რაიონი, ხაბწკის რვაწლიანი სკოლა), გ. ოთიაშვილი (კასპის რაიონი, მეტეხის საშუალო სკოლა), ვ. ანაკიძე (აბაშის რაიონი, მარნის საშუალო სკოლა), ზ. გარშაულაშვილი (ახმეტის რაიონი, მატნის საშუალო სკოლა), პ. გოგოლაძე (ახალციხის რაიონი, სვირის საშუალო სკოლა), ჯ. ყურბანოვი (თელავის რაიონი, ყარაჯლის საშუალო სკოლა), ვ. მასურაშვილი (ქარელის რაიონი, ხეობის საშუალო სკოლა), შ. ხარჩილავა (წალენჯიხის რაიონი, ჯალირის რვაწლიანი სკოლა), ი. ჩუბინიძე (ჭიათურის რაიონი წირქვალის რვაწლიანი სკოლა), ლ. გოგოლაძე (ჩოხატაურის რაიონი, განახლების საშუალო სკოლა), გ. კუტუბიძე (ჩოხატაურის რაიონი, ზოტის საშუალო სკოლა).

**ფიზიკის მასწავლებლები:** ს. ჩაჩუა (სამტრედიის რაიონი, ნიგოზრზლვის რვაწლიანი სკოლა), გ. გვალია (ჭიათურის რაიონი, გეზრულის რვაწლიანი სკოლა), ვ. ჯიბლაძე (აბაშის რაიონი, გეზათის რვაწლიანი სკოლა).

**ქიმიის მასწავლებლები:** ლ. გოგიბერიძე (ლანჩხუთის რაიონი, აკეთის საშუალო სკოლა), შ. ოყროშიძე (წყალტუბოს რაიონი, ჟონეთის საშუალო სკოლა), თ. ვაშაკაშვილი (ახმეტის რაიონი, ფიჩხოვანის რვაწლიანი სკოლა).

ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ და შესაბამისმა რაიონულმა (საქალაქო) მეთოდურმა კაბინეტმა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა არ ჩაატარეს კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე მისავლინებელ მასწავლებლებთან და

სიები ისე გადმოგზავნეს განათლების სამინისტროში, რომ ამის შე-
სახებ მასწავლებელთა უმრავლესობამ არაფერი არ იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი ჰქონდა დახელოვნების დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობაში დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ, დახელოვნების კურსებგავლილ, ჩვილბავშვიან და ავადმყოფ მასწავლებელთა მასობრივად ჩაბმის შემთხვევებს. რამაც ნაკადებს შორის მასწავლებელთა ჩამოცილება და განთესვა გამოიწვია. სულ ჩარიცხული 606 მასწავლებლიდან კურსები გაიარა 297. არასაპატიო მიზეზებით სწავლებას ჩამოსცილდა ქართული ენისა და ლიტერატურის—43. რუსული ენისა და ლიტერატურის—60, მათემატიკის—76, ფიზიკის—69, ქიმიის—49 მასწავლებელი.

1967 წელს აფხაზეთის ასსრ სკოლების 37 მასწავლებლიდან კურსებს ჩამოსცილდა—26, აჭარის ასსრ—29-დან—20, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 13 მასწავლებლიდან—10. ქ. თბილისის 33 მასწავლებლიდან—22, ასპინძის რაიონის 11 მასწავლებლიდან—2, ხესტაფონის რაიონის 17 მასწავლებლიდან—11, საჩხერის რაიონის 13 მასწავლებლიდან—10.

1968 წელს დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე ჩარიცხული 413 მასწავლებლიდან, კურსებზე გამოცხადდა 285 მასწავლებელი. კვლავ ვერ შეასრულეს გეგმები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლებას სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, აბაშის, გორის, გურჯაანის, ლანჩხუთის, მახარაძის რაიონების განათლების განყოფილებებმა. კურსებზე დადგენილი კონტინგენტი ვერ შეინარჩუნა გარდაბნის, დმანისის, თერჯოლის, თიანეთის, ლაგოდეხის, ყვარლის რაიონებმა.

კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე 1967 წელს არც ერთი მასწავლებელი არ მოუვლენიებია ქ. გორის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ჩხოროწყუსა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებებს.

1967 წელს ამბროლაურის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ონის, ჩოხატაურის, ხობის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე მოავლინეს მასწავლებელთა მეტად მცირე რაოდენობა. ასევე ძალზე მცირე რაოდენობით მოავლინეს მასწავლებლები მიმდინარე წელს ასპინძის, ბოლნისის, ბორჯომის, თეთრიწყაროს: კასპისა და ხობის რაიონების განათლების განყოფილებებმა. ზოგიერთი მასწავლებელი თვითნებურად, ყოველგვარი

საპატიო მიზეზის გარეშე ჩამოსცილდა კურსებს. მაგალითად, **ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები:** შონია ტ. ტ. (გალის რაიონი), მატკავა ლ. (გალის რაიონი, საბერიოს სკოლა), შარია კ. ი. (გალის რ. თაგილონის № 2 საშუალო სკოლა), კეთილაძე დ. დ. (სოხუმის რ. ახალშენის 8 წლ. სკოლა), ჯომარდიძე ნ. ი. (თბილისის 113-ე საშუალო სკოლა), აზმაიფარაშვილი ი. დ. (თბილისის 132-ე საშუალო სკოლა), აბაშიძე ვ. (თბილისის მე-19 საშუალო სკოლა), რობაქიძე ი. (თბილისის 42-ე საშუალო სკოლა), მდივნიშვილი. გ. (თბილისის I საშუალო სკოლა), ბერუჩაშვილი გ. (თბილისის 75-ე საშუალო სკოლა), არუთინოვი ა. (თბილისის 98-ე საშუალო სკოლა), შენგელია ვ. (თბილისის მე-3 საშუალო სკოლა), ხარებაშვილი ზ. (ადიგენის საშუალო სკოლა), მაისურაძე მ. (გორის რ. ტყვიავის საშუალო სკოლა), ნ. გაბიტაშვილი (გურჯაანის რ. ქვემო გურჯაანის საშუალო სკოლა), თ. ოთარაშვილი (გურჯაანის რ. მახარაძის საშუალო სკოლა), მ. შაქარაშვილი (გურჯაანის რ. ველისციხის საშუალო სკოლა), ვ. ფოლადაშვილი (თიანეთის რაიონი, თანდილაანთკარის 8 წლიანი სკოლა), ფ. გიორგაძე (ზესტაფონის რაიონი, საზანოს საშუალო სკოლა), ო. გძელიძე (მაიაკოვსკის რაიონი, ობჩის I-ლი საშუალო სკოლა).

**რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები:** ა. იაშვილი (აბაშის რაიონი, სამიქაოს სკოლა), გ. შაიოშვილი (ახმეტის რაიონი, ქისტაურის სკოლა), ხ. ალიევი (ბოლნისის რაიონი, დარბაზის საშუალო სკოლა), ნ. პეტრიაშვილი (გურჯაანის რაიონი, ჩუმლაყის საშუალო სკოლა), ნ. ბიგვავა (დუშეთის რაიონი, ყვავილის 8 წლიანი სკოლა), ი. წიკლაური (დუშეთის რაიონი, ჩოხის სკოლა), უ. გელაშვილი (ლაგოდეხის რაიონი, ბაისუბნის საშუალო სკოლა), ბ. მეფარიშვილი (მაიაკოვსკის რაიონი, წითელხევის საშუალო სკოლა), ლ. ხელაძე (მახარაძის სკოლა-ინტერნატი), გ. სულაქველიძე (ორჯონიკიძის რაიონი, ღორეშის საშუალო სკოლა), თ, ნიკოლაიშვილი (სამტრედიის რაიონი, ჭოგნარის საშუალო სკოლა), ვ. ბუკია (ჭალადიდის 8 წლიანი სკოლა).

**მათემატიკის მასწავლებლები:** ინჯია ც. (ცაგერის რაიონი, ხეივნის საშუალო სკოლა), დავითაია ნ. გ. (ქ. სოხუმის მე-12 საშუალო სკოლა), ჯახუა ვ. ი. (გულრიფშის რაიონი, ფშაფსის სკოლა), ცქვიტავა ი. ი. (გულრიფშის რაიონი, მერხეულის 8 წლიანი სკოლა), ჭკადუა ვ. (გულრიფშის რაიონი, ცებელდის საშუალო

სკოლა), ჭუმბურიძე ა. მ. (გულრიფშის რ. ლატის 8 წლიანი სკოლა), ბერაია ს. ი. (გალის რაიონი, აჩიგვრის საშუალო სკოლა), მაკაია ვ. ი. (გალის რაიონი, ჩხორთოლის საშუალო სკოლა), [illegible]-ძე ქ. (ბათუმის რაიონი, ფერიის საშუალო სკოლა), გოგიტიძე რ. (ბათუმის რაიონი, მახვილაურის 8 წლიანი სკოლა), მალაყმაძე ხ. (ბათუმის რაიონი, ჩიქუნეთის 8 წლიანი სკოლა); კოსტავა გ. (ბათუმის რაიონი, ახალსოფლის საშ. სკოლა), ჯოხაძე ა. (ბათუმის რაიონი, მახვილაურის 8 წლიანი სკოლა), ფალავა ს. (ბათუმის რაიონი, ყოროლისთავის 8 წლიანი სკოლა), აბაშიძე მ. (შუახევის რაიონი, დღვანის საშუალო სკოლა), მ. ბიბილაშვილი (გორის რაიონი, ზერტის საშუალო სკოლა), გ. აივაზოვი (გორის რაიონი, შავშვების სკოლა), ვ. მენაბდიშვილი (გორის რაიონი, ხეისის 8 წლიანი სკოლა), ლ. ჰანტურია (აბაშის II საშუალო სკოლა), თ. თოფურია (აბაშის რ. სეფიეთის საშუალო სკოლა), ნ. რატიანი (აბაშის რაიონი, პირველი მაისის საშუალო სკოლა), ვ. ხუციშვილი (გურჯაანის რაიონი, გურჯაანის სკოლა-ინტერნატი), რ. ქათამაშვილი (გურჯაანის რაიონი, გურჯაანის საშუალო სკოლა), შ. კარაპეტოვი (გურჯაანის რაიონი, ველისციხის საშუალო სკოლა), მ. ციბაძე (წყალტუბოს რაიონი, ფარცხანაყანევის საშუალო სკოლა), შ. ჩინჩალაძე (სამხრეთ ოსეთი), ლეკიშვილი ს. (ასპინძის საშუალო სკოლა), ქ. მასიტაშვილი (ახალციხის რაიონი, აწყურის საშუალო სკოლა), ს. ბერიკაშვილი (ახმეტის რაიონი, ფიჩხოვანის 8 წლიანი სკოლა). თ. ავკოპაშვილი (ბოლნისის რაიონი, რატევანის 8 წლიანი სკოლა), ტ. გოჩოლეიშვილი (გარდაბნის რაიონი, სოღანლუღის 8 წლიანი სკოლა), ნ. ბაინდუროვი (თელავის რაიონი, კურდღელაურის სკოლა), თ. ფეიქრიშვილი (თელავის რაიონი, კონდოლის საშუალო სკოლა), ვ. გოგბერაშვილი (თერჯოლის რაიონი, რუფოთის 8 წლიანი სკოლა), ი. კოვზირიძე (თერჯოლის რაიონი, ღვანკითის 8 წლიანი სკოლა), ა. ბარდაველიძე (თერჯოლის რაიონი, (8/საზანოს საშუალო სკოლა), ქ. ძლიერიშვილი (კასპის რაიონი, ოკამის 8 წლიანი სკოლა) ვ. გაფრინდაშვილი (თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატი), ვ. ზაქარაშვილი (კასპის რაიონი, ხოვლეს საშუალო სკოლა), ა. ბიძინაშვილი (საგარეჯოს რაიონი), გ. მირზაშვილი (საგარეჯოს რაიონი, მანავის 8 წლიანი სკოლა), თ. ღუღუნაშვილი (საჩხერის რაიონი), ც. ნონეზოვი (სიღნაღის რაიონი, ანაგის საშუალო სკოლა), გ. კოპაძე (ქარელის რაიონი, დვანის საშუალო სკოლა), მ. ქლიბაძე (ქარელის რაიონი, აგარის საშუალო სკოლა), ნ. გობოზოვი (ქარელის რაიონი),

ც. წურწუმია (ჩხოროწყუს რაიონი, ნაკათის 8 წლიანი სკოლა), მ. ახვლედიანი (ცაგერის რაიონი, ჩხუტელის 8 წლიანი სკოლა), ი. შამუგია (წალენჯიხის რაიონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფიზიკის მასწავლებლები:** ი. გაჩეჩილაძე (ორჯონიკიძის რაიონი, ლორეშის საშუალო სკოლა), ვ. ზანდუკელი (დუშეთის რაიონი, ციხევდავის 8 წლიანი სკოლა), ი ტაბატაძე (თბილისის მე-10 საშუალო სკოლა), ზ. გიორგობიანი (თბილისის 53-ე საშუალო სკოლა), მ. ოვაშვილი (დუშეთის რაიონი, ხაშაბურის 8 წლიანი სკოლა), ა. მიქავა (წალენჯიხის რაიონი, ფოჩხის 8 წლიანი სკოლა). შ. შავაძე (ხულოს რაიონი, ყიშლის 8 წლიანი სკოლა), ა. კობიძე (ხულოს რაიონი, ვაშლოვანის 8 წლიანი სკოლა), ა. ქოჩიაშვილი (მაიაკოვსკის რაიონი, ხანის საშუალო სკოლა), მ. ქურდიანი (მესტიის რაიონი, ლატალის საშუალო სკოლა), ქ. გულაშვილი (ლაგოდეხის რაიონი, ლელიანის საშუალო სკოლა), შ. ოთარაშვილი (თიანეთის რაიონი, ახალსოფლის 8 წლიანი სკოლა), ფ. გაბუნია (ვანის რაიონი, ზედაბზვნის საშუალო სკოლა), ვ. ლომთაძე (წყალტუბოს რაიონი, დღნორისის საშუალო სკოლა), ფ. თათარიშვილი (თბილისის მე-2 გახანგრძლივებული სკოლა), ზ. ზურაბაშვილი (თიანეთის რაიონი, ნაქალაქარის საშუალო სკოლა).

**ქიმიის მასწავლებლები:** აჭარის ასსრ-დან—ნ. ტარიელაძე (ბარათაულის საშუალო სკოლა), ნ. დუმბაძე (ქობულეთის რაიონი, ქვემონოლის სკოლა), რ. ჯავახაძე (ტაბუთის საშუალო სკოლა), თბილისიდან—ზ. ბასილაშვილი (მე-8 საშუალო სკოლა), მ. მაჭარაშვილი, ვ. ჯანელიძე (მე-10 საშუალო სკოლა), მ. ნემსაძე (130-ე საშუალო სკოლა), გ. კაპანაძე 42-ე საშუალო სკოლა), წულუკიძის რაიონიდან—ვ. ჩხეიძე (ლევდის 8 წლიანი სკოლა), გ. ბობოხიძე (გორდის საშუალო სკოლა), ა. ქურიძე (ლანჩხუთის რაიონი, აკეთის 8 წლიანი სკოლა), თ. გიქუაშვილი (თელავის რაიონი, ნაფარეულის საშუალო სკოლა), მ. ახობაძე (სამტრედიის II საშუალო სკოლა), თერჯოლის რაიონიდან—ნ. ბოჭორიშვილი (ქვემოსიმონეთის საშუალო სკოლა), ნ. მაჩიტაძე (კვახჭირის საშუალო სკოლა), ა. ნოზაძე (საჩხერის რაიონი, ჯალაურთის რვაწლიანი სკოლა), გორის რაიონიდან—ვ. ჩიტიშვილი (ზერტის საშუალო სკოლა), ქ. თვაური (გორის რაიონი, ხურვალეთის რვაწლიანი სკოლა), ა. ჯანკველაძე (აბაშის რაიონი, მაიდნის რვაწლიანი სკოლა), ვ. კილაძე (მაიაკოვსკის რაიონი, ვარციხის საშუალო სკოლა), პ. თათარიშვილი (ცხაკაიას რაიონი, შრომისკარის რვაწლიანი სკოლა),

შ. ნაკაშიძე (ვანის პირველი საშუალო სკოლა). თიანეთის რაიონიდან—ვ. ბუჯიაშვილი, ლ. ტაბატაძე (თიანეთის მეორე და სიმონიანთხევის საშუალო სკოლები), ნ. ფაილოძე (გეგეჭკორის რაიონი, ხუნწის საშუალო სკოლა), ლ. გამეზარდაშვილი (ვანის რაიონი, რომანეთის საშუალო სკოლა), ვ. ლეჟავა (ხაშურის რაიონი, კრისხევის რვაწლიანი სკოლა), ვ. მაისურაძე (ზნაურის რაიონი, ოქონის 8 წლიანი სკოლა) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწრებულ-დაუსწრებელი კურსებიდან ასეთი რაოდენობით ჩამორჩენას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და განათლების განყოფილებები კურსებიდან უმიზეზოდ ჩამოშორებულ მასწავლებელთა მიმართ არ ღებულობენ ქმედით ზომებს.

დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობაში შეინიშნებოდა სხვა ნაკლოვანებანიც, სახელდობრ—ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა ადგილებზე ნაკადებს შორის მსმენელთა მუშაობის შესწავლა, მათთვის მეთოდური დახმარების ორგანიზაცია.

რიგი კურსების სასწავლო გეგმებში სათანადო ადგილი ვერ დაიჭირა წრეობრივი და მეთოდური მუშაობის საკითხებმა, არ იყო გამოყოფილი საათები სემინარების, კონსულტაციებისა და გასაუბრებების ჩასატარებლად.

ინსტიტუტის ზოგიერთი მეთოდური კაბინეტი მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საკურსო დავალებების რეცენზირების საქმეს, ადგილი ჰქონდა მომთხოვნელობის ერთგვარ დაქვეითებას, ლექტორთა გადატვირთვას, ინსტიტუტის დირექციის მხრივ ზოგჯერ სათანადო მეთვალყურეობა არ იყო დაწესებული საკონტროლო დავალებების შესრულებასა და გასწორებაზე,

ინსტიტუტი უზრუნველყოფილი არ იყო კურსებისათვის საჭირო დოკუმენტაციით.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვ ს

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (დირექტორი ი. ა. ზახაშვილი) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა კვალი-

ფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ეროვნული

ა) დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების სასწავლო გეგმებში სათანადო ადგილი დაუთმოს მეთოდური და წრეობრივი მუშაობის საკითხებს, სემინარებს, კონსულტაციებს და მსმენელებთან გასაუბრებას;

ბ) შეიმუშაოს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარუდგინოს კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების დებულების პროექტი.

გ) შეისწავლოს ადგილებზე მუშაობა იმ მასწავლებლებისა, რომლებმაც ვერ დაძლიეს დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების პროგრამა, საკონტროლო დავალებების შესრულებისას და საკურსო ჩათვლებში გამოამჟღავნეს საგნის ცოდნისა და მეთოდური მომზადების დაბალი დონე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აღრიცხონ 1968 წელს კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე ჩარიცხული ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები და უზრუნველყონ მათი შენარჩუნება და ნაკადების მიხედვით კურსებზე შეუფერხებელი მივლინება;

ბ) გაატარონ სათანადო ღონისძიებანი კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ და დახელოვნების კურსებზე ჩარიცხულ მასწავლებელთა ზოგიერთი არაპედაგოგიური დატვირთვისაგან განთავისუფლებისათვის;

გ) დაავალონ შესაბამის მეთოდურ კაბინეტებს არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე ჩარიცხულ და მათი მეთვალყურეობის ქვეშ დატოვებულ მასწავლებლებთან;

დ) გაატარონ მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებანი ამ ბრძანებაში აღნიშნულ იმ მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც თვითნებურად, არასაპატიო მიზეზებით ჩამოსცილდნენ დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებს;

ე) შეამოწმონ იმ მასწავლებელთა მუშაობა, რომლებმაც ვერ დასძლიეს კურსების პროგრამა, საკონტროლო დავალებების შესრულებასა და საკურსო ჩათვლებში გამოამჟღავნეს საგნის ცოდნისა და მეთოდური მომზადების დაბალი დონე, ვერ გააუმჯობესეს მუშაობა და არსებული წესის დაცვით განიხილონ მასწავლებლად მათი შემდგომი დატოვების საკითხი.

3. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) მიიღოს ზომები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგად გამოვლინებულ იმ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე ჩასაბმელად, რომლებიც ამჟღავნებენ საგნის ცოდნისა და სწავლების მეთოდების დაბალ დონეს;

ბ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად მიმდინარე წლის IV კვარტალში ქ. გორში, ქ. რუსთავში, ქ. ფოთში, აგრეთვე ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ჩხოროწყუსა და წალკის რაიონებში შეისწავლოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მდგომარეობა და საკითხი მოამზადოს კოლეგიაზე განსახილველად.

4. დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე მივლინებულ მასწავლებელთა კონტინგენტზე კონტროლის შესუსტებისა და კურსებიდან მასწავლებელთა დიდი რაოდენობით ჩამოცილებისათვის ქ. თბილისის, ასპინძის, ზესტაფონის, საჩხერის, გარდაბნის, დმანისის, თერჯოლის, თიანეთის, ლაგოდეხის და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს—მიეთითოთ.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ დახელოვნების დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობა, ხოლო კრებულ-დამატებების რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მეთოდური წერილები დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე ჩარიცხულ მასწავლებელთა დასახმარებლად.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 14 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 24 ივნისის ბრძანება № 395

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში განათლებაზე გამოყოფილი ფულადი სახსრების ხარჯვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში და განათლების სამინისტროს სხვა დაწესებულებებში სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგენილია სერიოზული დარღვევები ფულადი სახსრების ხარჯვის საქმეში.

ასე, მაგალ., ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში (ყოფ. დირექტორი ამხ. შ. მანგიაშვილი) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოფენებისათვის სხვადასხვა პანოების, სტენდების, მოსაწვევი ბარათების ფერადი ყდების დამზადებაზე და სხვა მხატვრული სამუშაოების შესრულებისათვის, რომელთა ჩატარება არ იყო გამოწვეული აუცილებლობით, დახარჯულია 35,2 ათ. მანეთი, მაშინ, როდესაც ამგვარ სამუშაოთა ბევრი ესკიზი 3,1 ათ. მანეთად ღირებული, სრულიად არ იყო გამოყენებული და 1963—1964 წლებიდან სადგურის საწყობში უხმარად ძევს.

გეგეჭკორის რაიონის გეგეჭკორისა და სალხინოს სკოლა-ინტერნატებმა ტანსაცმელისა და ჭურჭლეულის უკმარობის პირობებში რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად ასიგნებულ სახსრებიდან 11,8 ათასი მანეთი გაიღეს ქართულ ნაციონალურ საცეკვაო კოსტუმების შეძენაზე, ხოლო ახალციხის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. არველაძე) 1964—1965 წლებში შეიძინა ბილიარდი და სასულე ორკესტრის კომპლექტი 2,3 ათას მანეთად ღირებული, რომლებიც შემდგომ, როგორც გამოუყენებელი სკოლა-

ინტერნატისათვის, უსასყიდლოდ გადაეცა სამხედრო ნაწილს და მილიციის ახალციხის განყოფილებას.

თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა საბაზო მაღაზიამ (დირექტორი ა. ქლენტი), რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს რესპუბლიკის სასკოლო ქსელის სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები და სახელოსნოები სასწავლო-თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოებით, დაუშვა სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტები ლიტერატურისა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების ძვირადღირებულ ორიგინალთა შეძენით.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბაზო მაღაზიამ სამხატვრო ფონდის კომბინატიდან შეისყიდა 600-ზე მეტი პორტრეტი—ორიგინალი საერთო ღირებულებით 74,8 ათასი მანეთისა, რომელთა შორის ზოგიერთი 660 მანეთამდეც კი დაჯდა.

დიდი თანხები იხარჯება რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების ბაზის შესაქმნელად, მაგრამ რიგ შემთხვევებში, ზოგიერთ სკოლაში დაზგები, მანქანები და სხვა მოწყობილობანი შემოაქვთ ზედმეტი რაოდენობით, ვერ იყენებენ მათ, ხოლო ზოგჯერ უფუჭდებათ კიდეც ცუდი მოვლის გამო.

ასე, მაგალითად, კასპის № 2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ელისაბედაშვილი) არსებულ 13 საკერავი მანქანიდან გამოყენებულია მხოლოდ 2, ახალციხის რაიონის სკოლებში 160 საკერავი მანქანიდან გამოუყენებელია 55, ხოლო 88 სხვადასხვა დაზგიდან—40, ამასთანავე თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა საბაზო მაღაზიის მიერ ადგილებიდან განაცხადის მიღების გარეშე გაგზავნილია დაზგების ახალი პარტია. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. სოხუმის, გუდაუთის, გალის, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და რიგ სხვა რაიონების სკოლებში.

ბევრ სკოლაში მოუწესრიგებელია ინვენტარისა და სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა აღრიცხვა, არ აწარმოებენ საინვენტარიზაციო წიგნებს, რის შედეგადაც იქმნება პირობები, რაც ხელს უწყობს მტაცებლობასა და ბოროტმოქმედებებს.

კასპის № 1 სკოლაში (დირ. დ. ხუსკივაძე) არ იყო შემოსავალში აღებული რადიოკვანძი და მაგნიტოფონი, ხოლო კასპის № 2 სკოლაში—5 საკერავი მანქანა.

სოხუმის № 5 სკოლას (დირ. თ. ქეცბაია) ჯერ კიდევ 1963—1964 წლებში ფიზიკური ლაბორატორიისათვის შეძენილი 1,5 მა-

ნეთის სხვადასხვა მოწყობილობები შეფუთული აქვს და იყენებს. ამ სკოლის საწყობში მნესთან ინახება დამტვრეული აკორდეონი, 9 ძვირადღირებული ფოტოაპარატი, 2 კინოგადამღები აპარატი და სხვა მოწყობილობა, რომელიც 2,5 ათას მანეთზე მეტი ღირს.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება და სკოლის ხელმძღვანელი, შტატებისა და ხელფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით, ცალკეული კლასების და სკოლის საერთო კონტინგენტის რაოდენობის აღსარიცხავ ანგარიშებში უშვებს მიწერებს, ხსნის მცირერიცხოვან პარალელურ კლასებს, რითაც მნიშვნელოვნად ადიდებს სკოლის შენახვის ხარჯებს.

გუდაუთის რაიონის აბგარხუკის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა (მ. ლადარია) თავისი ხელფასის გადიდების მიზნით 1967—1968 სასწავლო წლის დასაწყისის ანგარიშში დაუშვა მიწერები და ნაცვლად 60 მოსწავლისა შეიტანა 82, რის შედეგადაც მას განესაზღვრა ხელფასი 110 მანეთი თვეში, ნაცვლად 20 მანეთისა ანუ 90 მანეთით მეტი ვიდრე ეკუთვნოდა. ამ სკოლაში 1967 წლის ოქტომბრის ბოლომდე სწავლა მიმდინარეობდა დიდი წყვეტილებით (ორ თვეში გამოტოვებულია 632 კლას-გაკვეთილი ანუ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გაკვეთილების 70%, ხოლო 1967 წლის ნოემბრიდან სკოლაში შეწყდა მუშაობა, გაკვეთილები არ ტარდებოდა, საკლასო ჟურნალი არ ივსებოდა, სკოლის მოსწავლეები არ იყვნენ შეფასებული სასწავლო წლის არც პირველ და არც მეორე მეოთხედში; მიუხედავად ამისა, გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილების მიერ (გან. განყოფილების გამგე გ. ტარკილი) ხელფასი მთლიანად იცემოდა ამ სკოლის დირექტორზე (მ. ლადარია) და მასწავლებლებზე.

ამავე რაიონის ლიხნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში ირიცხებოდა 75 მოსწავლე. ამ სკოლის დირექტორმა ა. ჩხოტუამ, თავისი ხელფასის გადიდების მიზნით საკლასო ჟურნალებში მიაწერა 17 მოსწავლე და მით სკოლის კონტინგენტი. ფაქტიურად გაადიდა 92 მოსწავლემდე, რის შედეგადაც მისი ხელფასი ნაცვლად 30 მანეთისა გადიდებულ იქნა 164 მანეთამდე. ამრიგად, ა. ჩხოტუამ 1967 წლის 1 სექტემბრიდან დეკემბრამდე უკანონოდ მიიღო 536 მანეთი, ხოლო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეზე რ. ბიგვავაზე უკანონოდ გაიცა 250 მანეთი.

ანალოგიურად, მიწერების გზით, გუდაუთის რაიონის დურიფშის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ამხ. გუბამ გაიდიდა თავისი ხელფასი თვეში 80 მანეთით და 4 თვეში უკანონოდ მიიღო 320 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრწყაროს მუშა-ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა პ. კიბალნიჩენკომ 1967—1968 სასწავლო წლის დასაწყისის სტატისტიკურ ანგარიშში აწარმოა მიწერა და უჩვენა 82 მოსწავლე, რითაც თავისი ხელფასი გაიდიდა თვეში 134 მანეთით. კლასების დაკომპლექტების დადგენილი ნორმების დარღვევით გახსნილ იქნა მე-7 კლასი 8 მოსწავლისათვის.

თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის ქართული საშუალო სკოლის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ვ. სულაბერიძე, დირექტორის მოადგილეები მ. მეხრაძე და გ. დავიდოვი) სასწავლო წლის დასაწყისის სტატისტიკურ ანგარიშში IX კლასის მოსწავლეთა რაოდენობა უჩვენა 14-ით მეტი, რის შედეგადაც სკოლაში გახსნილ იქნა ზედმეტი ფინანსიური კლასი, რომლის შენახვაზედაც მიმდინარე სასწავლო წლის 4 თვეში გაცემულია 800 მანეთი.

ახალციხის № 1 საშუალო სკოლის დირექტორმა მ. ჟუჟუნაძემ მიწერების გზით მიაღწია სამი ფინანსიური კლასის გახსნას და უკანონოდ დახარჯა ხელფასის ფონდი 1800 მანეთამდე, ხოლო ახალციხის მუშა-ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ს. ხოსიტაშვილმა ქართულ და სომხურ ჯგუფების მე-6 კლასებში ზედმეტად 10 მოსწავლის მიწერით მიაღწია ორი ფინანსიური კლასის გახსნას, რომელთა შენახვაზედაც გასცა 900 მანეთამდე.

გარდაბნის რაიონის აგტაკლის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. გეზალოვმა ხელფასის გადიდების მიზნით სტატისტიკურ ანგარიშებში მიაწერა I და IX კლასის სიებში 12 მოსწავლე, რომელნიც სხვა სკოლებში სწავლობდნენ სასწავლო წლის დასაწყისიდანვე. ამის შედეგად სკოლის დირექტორმა გ. გეზალოვმა და დირექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში აკბეროვმა გაიდიდეს თავიანთი ხელფასი და უკანონოდ მიიღეს 4 თვეში 146 მანეთი.

რიგ სკოლებში ტიპიური საშტატო განრიგები გამოიყენება კონკრეტული პირობებისა და სკოლის მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად, რის გამოც უკანონოდ იხარჯება სახსრები ფაქტიურად არარსებულ თანამდებობების შენახვაზე.

ასე, მაგალითად; კასპის I საშუალო სკოლაში არ არის მოწყობილი სახელოსნო, არსებულ დაზგებს არ იყენებენ, მაგრამ სახელოსნოს გამგებლობისათვის ყოველთვიურად იცემა ხელფასი 80 მანეთის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხის რაიონის პატარა-პამაჩის 8 წლიან სკოლაში, სადაც არ არის მოწყობილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, შემოღებულია ლაბორანტის და ოსტატის თანამდებობები. ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის ვალეს მე-3, წყალთბილას, წინუბნის სკოლებშიაც. ამ სკოლებში მიმდინარე წლის მხოლოდ 4 თვეში უკანონოდ დახარჯულია ხელფასის ფონდი 1700 მანეთზე მეტი. წინწყაროს საშუალო სკოლაში, მანგლისის ქართულ, ალგეთის, აბელიანის და თეთრიწყაროს რვაწლიან სკოლებში არ არის მოწყობილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, მაგრამ ლაბორანტებისა და ოსტატების შენახვაზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დახარჯულია 1000 მანეთამდე.

ასეთივე მდგომარეობაა გარდაბნის რაიონის ქესალოს, გარდაბნის აზერბაიჯანულ და სამგორის სკოლებში, სადაც არ არის მოწყობილი სასწავლო კაბინეტები, მაგრამ შემოღებულია ლაბორანტების თანამდებობა, რომლის შენახვაზეც 3 თვეში დაიხარჯა 1300 მანეთი.

სახსრების ხარჯვაში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები და დარღვევები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში და განათლების სამინისტროს სხვა დაწესებულებებში იმის შედეგია, რომ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა მიერ სკოლების და სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე არ ხორციელდება ჯეროვანი კონტროლი და ინვენტარის, სასწავლო-სათვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის საქმე მოუწესრიგებელია.

სახალხო განათლებაზე გამოყოფილი სახსრების ხარჯვაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დარღვევების ლიკვიდაციისა და ამ საქმეში სახელმწიფო წესრიგის დამყარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. არ დაუშვან მომავალში სახალხო განათლებაზე გამოყო-ფილი სახსრების უყაირათოდ ხარჯვა, სასწავლო კაბინეტებისათვის, ლაბორატორიებისათვის და სახელოსნოებისათვის ზოგიერთი ძვი-რადღირებული და ზედმეტი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების, მოწყობილობათა, ინვენტარის და სურათების შეძენა;

2. აღკვეთონ სკოლა-ინტერნატებში და საბავშვო სახლებში ლოგინის მოწყობილობათა, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დადგენილი ნორმატივების ზევით შეძენა;

3. დაამყარონ საჭირო წესრიგი ინვენტარის, სასწავლო-თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა აღრიცხვის საქმეში, უზრუნველყონ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ყოველწლიურად ჩატარება;

4. გულდასმით შეამოწმონ სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშები;

5. მიიღონ გადამწყვეტი ზომები სტატისტიკურ ანგარიშებში მიწერების შემთხვევათა სალიკვიდაციოდ, მოწაფეების მიწერის ყოველი გამოვლინებული შემთხვევა გახადონ სპეციალური მსჯელობის საგნად და მკაცრად დასაჯონ ამ საქმეში დამნაშავენი.

6. გულდასმით შეამოწმონ სკოლების მიერ მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაციისათვის წარმოდგენილი მასალები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლებში ლაბორანტებისა და ოსტატების შტატის დადგენას; არ იქნას დაშვებული ლაბორანტებისა და ოსტატების შტატის შემოღება ისეთ სკოლებში, სადაც არ არის მოწყობილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები.

7. მიმდინარე წლის ივლისისა და აგვისტოს თვის განმავლობაში ჩატარდეს სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის მოსაწესრიგებლად საჭირო სამუშაოები; განხორციელდეს ღონისძიებები ისეთი მცირეკომპლექტიანი სკოლების გაერთიანებისა და გამსხვილებისა, რომელთა ცალკე არსებობა არ არის გამართლებული.

8. მიღებულ იქნას საჭირო ზომები 1968 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის დავალებათა ყველა მაჩვენებლის შესასრულებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განთესვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოფხვრას და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

9. მაქსიმალური ზომები გატარდეს დადგენილი ნორმების შესაბამისად კლასების დასაკომპლექტებლად, და, იქ, სადაც შესაძლებელია მოხდეს პარალელური კლასების გაერთიანება; მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დატვირთვის ნორმად I—VIII კლასებში მიღებულია 40 და IX—X კლასებში 35 მოსწავლე.

10. უზრუნველყოფილ იქნას მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში იმ ახალგაზრდობის ჩაბმის გეგმის შესრულება, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ და არ აქვთ მიღებული შესაფერი განათლება.

მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ 1968 წელს მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში კლასის დატვირთვის ნორმად დადგენილია 23 მოსწავლე, ხოლო სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში—20.

11. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ამხ. ა. კვაჭაძე და ი. ჭანტურია) სახალხო მეურნეობის გეგმის პროექტის და ბიუჯეტის შედგენის დროს გულდასმით შეამოწმონ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი სატარიფიკაციო სიები და სხვა მასალები, მოსწავლეთა მცირერიცხოვანობის შემთხვევებში არ დაუმტკიცონ სკოლებს პარალელური კლასები, თუ არ არის ამის უკიდურესი საჭიროება.

12. მიღებულ იქნას ცნობად, რომ შემოწმების მასალების მიხედვით:

ა) საქართველოს კპ თეთრიწყაროს რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით თავის ხელფასის გადიდების მიზნით მოსწავლეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდისათვის თეთრი წყაროს მუშა-ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს კ. კიბალნიჩენკოს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით და განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან, ხოლო უკანონოდ მიღებული თანხა შეტანილია რაიონის ბიუჯეტში: მოსწავლეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდისა და კლასების უკანონოდ გახსნისათვის მანგლისის ქართული საშუალო სკოლის დირექტორს ვ. სულაბერიძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში თ. მეხრაძეს გამოეცხადა საყვედური; სუსტი კონტროლისათვის და ფულადი



6. კრებული

სახსრების უკანონოდ ხარჯვის დაშვებისათვის განათლების განყოფილების მთავარ ბუხჰალტერს ზ. შარაბიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო რაიონის განათლების განყოფილების გამგეს დ. ბექაურს გამოეცხადა საყვედური;

ბ) საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით მიწერების დაშვებისათვის, ზედმეტი კლასების გახსნის მიზნით მოსწავლეთა რაოდენობის ხელოვნურად გადიდებისათვის ახალციხის I საშუალო სკოლის დირექტორს ი. ჟუჟუნაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო ახალციხის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ს. ხოსიტაშვილს გამოეცხადა საყვედური; რაიონის სკოლებში საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი სუსტი კონტროლისა და ზედმეტი ფინანსიური კლასების გახსნისათვის ახალციხის განათლების განყოფილების გამგეს ბ. ახვლედიანს მიეთითა; ახალციხის რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით სახსრების უსწოროდ ხარჯვისათვის და არა საჭირო ინვენტარის შეძენისათვის ახალციხის სკოლა-ინტერნატის დირექტორს შ. არველაძეს და ბუხჰალტერს ი. სანიშვილს გამოეცხადა საყვედური;

გ) საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით ხელფასის გადიდების მიზნით მოსწავლეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდისათვის ლიხნის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ჩხოტუა განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო დირექტორის მოადგილეს სასწავლო ნაწილში რ. ბიგვავას გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ხელფასის გადიდების მიზნით მოსწავლეთა რაოდენობის განზრახ გაზრდისათვის და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის აბგარხუკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი მ. ლადარია მოხსნილია დაკავებული თანამდებობიდან.

მოსწავლეთა აღრიცხვის არევდარევის გამო და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის დურიფშის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი შ. გუმბა გაფრთხილებულია, სოფლის ახალგაზრდობის საშუ-

ალო სკოლების მუშაობისადმი არასაკმაო კონტროლისათვის გუდაუთის განათლების განყოფილების გამგე ი. ტარკილი გაფრთხილებულია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით ხელფასის გადიდების მიზნით მოსწავლეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდისათვის აგტაკლის საშუალო სკოლის დირექტორს გ. გეზალოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით;

ე) კასპის რაიონის განათლების განყოფილების მიერ უყაირათობისათვის, მატერიალურ ფასეულობათა შემოსავალში აუღებლობისათვის და სახსრების არადანიშნულებით ხარჯვისათვის კასპის № 1 და № 2 საშუალო სკოლების დირექტორებს დ. ხუსკივაძეს და ვ. ელისაბედაშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური;

ვ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი შ. მანგიაშვილი, ხოლო სასწავლო-თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა საბაზო მაღაზიის დირექტორი ა. ქლენტი გაფრთხილებულია.

13. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსმა (ამხ. ჯ. სვანიძე) მიმდინარე 1968 წელს ჩაატაროს განათლების სისტემის დაწესებულებათა შესახებ სახსრების ხარჯვის შემოწმება, პირველ რიგში ჩატარებული ტარიფიკაციის სისწორე და სკოლებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის მდგომარეობა, არა ნაკლებ რესპუბლიკის 3 რაიონში.

შემოწმების მასალები მოხსენდეს კოლეგიას.

14. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. მ. ანჯაფარიძე) სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ჩაატაროს გამორჩევითი შემოწმება სკოლებში და სხვა საბავშვო დაწესებულებებში კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სახსრების ხარჯვისა, არა ნაკლებ 20 ობიექტში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 15 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროს 1968 წ. 24 ივნისის ბრძანება № 307 მ/399

### საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების 1967 წლის 26 დეკემბრის № 986/65 ბრძანების საფუძველზე, 1968 წლის მეორე კვარტალში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების მიერ შემოწმებული იქნა განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა საბავშვო სახლის მუშაობა.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ საბავშვო სახლების დიდ ნაწილში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა დაყენებულია დამაკმაყოფილებლად.

აღსაზრდელთა მაღალ აკადემიურ წარმატებას მიაღწიეს ეწრის, ლენინგორის, სამგორის, კოჯრის № 1 და ვაშლოვანის საბავშვო სახლებმა (დირექტორები: ნ. შავლაძე, ი. მაწიაშვილი, გ. ქვრივიშვილი, მ. მგალობლიშვილი, ს. მანაშვილი).

კარგადაა დაყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა მახინჯაურის, სამგორის, ეწრისა და კოჯრის № № 3, 5 და ზოგიერთ სხვა საბავშვო სახლში. (დირექტორები ა. ზედანია, გ. ქვრივიშვილი ნ. შავლაძე ე. ჯაფარიძე, ვ. სიხარულიძე).

თელავის, ვაშლოვანის, ეწრის, სამგორის, ქურთის, ლენინგორის, სურამის და ზოგიერთ სხვა საბავშვო სახლში სათანადო ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა კვებას, ჩაცმა-დახურვას, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, საყოფაცხოვრებო მდგომარეობის მოწესრიგებას და ბავშვთა შორის კულტ-მასობრივი მუშაობის გაშლის საქმეს. ამ საბავშვო სახლებში აღსაზრდელები ჯანმრთელად და მხნედ გამოიყურებიან.

სერიოზული ყურადღება ექცევა საბავშვო სახლებიდან გასული აღსაზრდელების მოწყობის საქმეს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბავშვო სახლებიდან გასულ რვაწლიან და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ 317 ახალგაზრდიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულია 19, ტექნიკუმებში—26, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—197, სამუშაოზე მოწყობილია—75.

ძირითადად ყველა საბავშვო სახლი უზრუნველყოფილია სათანადო განათლებისა და ცენზის მქონე პედაგოგიური კადრებით. სისტემატურად ხდება პედაგოგიური კადრების გადამზადება როგორც წარმოებიდან მოწყვეტით, აგრეთვე ადგილებზე კურს-სემინარების ჩატარების გზით.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, საბავშვო სახლების სასწავლო-სააღმზრდელო და სამეურნეო მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკაში არსებული 26 საბავშვო სახლიდან 25 მოთავსებულია შეგუებულ შენობებში, მათგან ზოგიერთი სრულიად შეუფერებელია საბავშვო დაწესებულებისათვის. სივიწროვეა საძინებელ ოთახებში. სანიტარული ნორმით დადგენილი 4 კვ. მეტრი ფართობის ნაცვლად, ერთ აღსაზრდელზე 2—2,5 კვ. მ. ფართობი მოდის. განსაკუთრებული სივიწროვეა ქ. რუსთავის, ასპინძის, სურამის, კარდანახის და კოჯრის № 5 საბავშვო სახლებში.

ჭიათურის, ჩოხატაურის, ასპინძის, კარდანახის, მახინჯაურის, რუსთავისა და ზოგიერთ სხვა საბავშვო სახლში არ აქვთ გამოყოფილი სათამაშო ოთახები და ოთახები პიონერული და წრეობრივი მუშაობისთვის. კოჯრის № 4 საბავშვო სახლში სხვადასხვა ასაკის ბავშვები არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული.

ქ. თბილისის, ონის, კოჯრის № 5 საბავშვო სახლებში იზოლატორად გამოყოფილია მხოლოდ თითო ოთახი, ხოლო კოჯრის № 6, ასპინძის, კარდანახის საბავშვო სახლებს სრულიად არ გააჩნიათ იზოლატორები.

საბავშვო სახლები განიცდიან მაგარი და რბილი ინვენტარის ნაკლებობას (კარადები, საწოლები, ლეიბები, ბალიშები, თბილი საბნები), ხშირ შემთხვევაში არსებული საწოლები და სხვა ინვენტარი მოძველებულია და საჭიროებს შეცვლას (თელავის, შუამთის, კარდანახის, მიუსერას, კოჯრის №№ 2, 3, 4, 5, 6 საბავშვო სახლები).

ასპინძის, ლენინგორის, ჭიათურის, კოჯრის № № 4, 6 (სა-ბავშვო სახლებში კეთილმოუწყობელია აბანო, სამრეცხაო, პირ-საბანები, საპირფარეშოები, ელექტროგაყვანილობა და სხვ. შუამთის საბავშვო სახლში—სასადილო, სამზარეულო, საპირფარე-შოები ავარიულ მდგომარეობაშია და ხმარებიდან გამოსულია ცენტრალური გათბობის საქვაბე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლეს საბავშვო სახლებში მოუწესრიგებელია ეზო-გარე-მო. არ არის მოწყობილი სპორტული მოედნები.

ონის საბავშვო სახლი არ არის დაკომპლექტებული სათანა-დო კადრებით. ამ საბავშვო სახლის არც ერთ მუშაკს არ აქვს უმაღლესი განათლება, აღმზრდელთა დიდი ნაწილი სათანადო დახმარებას ვერ უწევს აღსაზრდელებს გაკვეთილების მომზადების დროს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავების საქმეში.

აღსაზრდელების საგრძნობი ნაწილი აკადემიურად ჩამორჩება სწავლაში. მაგალითად, სასწავლო წლის 1 ნახევარში ჭიათურის საბავშვო სახლში 150 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებდა 39. მიუსე-რაში—100-დან 31, რუსთავში—130-დან 21 აღსაზრდელი. არც ერთი ხუთოსანი მოსწავლე არ ჰყავთ მიუსერას, ბათუმის, ასპინ-ძის, ონის და მახინჯაურის საბავშვო სახლებს. ზოგიერთი აღმზრ-დელი სისტემატურად არ ახდენს საადმზრდელო ჟურნალის მიხე-დვით ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას, მისი გეგმები გადატვირ-თულია სარეჟიმო მომენტებით. არადამაკმაყოფილებელია დირექ-ტორების კონტროლი და დახმარება აღმზრდელების მუშაობაზე; იშვიათია დასწრება საადმზრდელო ჯგუფების მუშაობაზე, შემჩნეულ ნაკლოვანებათა შესახებ საკითხი არ იხილება პედაგოგიური საბ-ჭოების სხდომებზე.

სუსტად არის დაყენებული წრეობრივი, პიონერული და საბიბლიოთეკო მუშაობა.

ყველა საბავშვო სახლში არ ხდება აღსაზრდელთა ღრმა სა-მედიცინო შემოწმება და საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება მათი დროული მკურნალობისა და გა-ჯანსაღების მიზნით. გეგეჭკორის, ქუთის, ლენინგორის, ვაშლო-ვანის საბავშვო სახლებში არ ხორციელდება აღრიცხვაზე მყოფ ავადმყოფ-აღსაზრდელთა დისპანსერული მეთვალყურეობა. თითქმის არც ერთ საბავშვო სახლში არ არის ჩამოყალიბებული ფიზკულ-ტურული ჯგუფები ფიზიკური დეფექტების მქონე აღსაზრდელთა

მაკორიგირებელი ვარჯიშების ჩატარების მიზნით. რუსთავის, კოჯრის № 5, 6 საბავშვო სახლებს არ გააჩნიათ გოგონებისათვის პირადი ჰიგიენის ოთახები. 1967 წელს მიუსერის საბავშვო სახლში ადგილი ჰქონდა ბლერით დაავადების შემთხვევებს. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საბავშვო სახლების აღმზრდელთა გაჯანსაღება რესპუბლიკის ბავშვთა სანატორიუმებში. 1967 წელს ბავშვთა სანატორიუმებში 2934 აღსაზრდელიდან იყო მხოლოდ 133 ბავშვი.

აღსაზრდელები არ მარაგდებიან ზოგიერთი აუცილებელი კვების პროდუქტით. მაგალითად, 1968 წლის I კვარტალში საჩხერის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა ბოსტნეულის კუთვნილი ფონდიდან მიიღეს მხოლოდ 24%, ქურთამ—21%; ახალი ხილი, მახინჯაურმა—14%, თბილისმა—21%, კოჯრის № 3—18%, კოჯრის № 5—13,3%; თევზი თბილისის საბავშვო სახლს სულ არ მიუღია, მახინჯაურმა მიიღო მხოლოდ 5%, კოჯრის № 5 —0,7%; ახალი რძე ასპინძამ—45%, ჩოხატაურმა—5%; კვერცხი შუამთამ—22%, კოჯრის № 1—8% და ა. შ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მენიუ-განრიგის შედგენისას არ არის ნაჩვენები თითოეულ ბავშვზე საჭირო პროდუქტების რაოდენობა, არ ხდება საკვების კალორიული ღირებულების გამოანგარიშება და მასში შემავალი საკვები ინგრედიენტების შეფარდება.

ბათუმის, მახინჯაურის, რუსთავის, თელავის, კარდანახის, ონის, ეწერის, ვაშლოვანის საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვება ნაცვლად ოთხისა სამჯერად სწარმოებს. სისტემატურად არ ხდება მზა კერძების კალორიული შემადგენლობის შემოწმება. ლაბორატორიული შემოწმებით თელავის, რუსთავის და მიუსერას საბავშვო სახლებში მზა კერძები აღმოჩნდა დაბალი კალორაჟისა. ნაკლები ყურადღება ექცევა საშეფო და მზრუნველთა საბჭოების მუშაობას. საჩხერის, სამგორის, კოჯრის ექვსივე საბავშვო სახლებს დღემდე არა ჰყავთ საშეფო ორგანიზაციები.

თბილისის, ონის, ხაშურის, გარდაბნისა და სხვა რაიონის და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების განათლების განყოფილებები იშვიათად ამოწმებენ საბავშვო სახლების მუშაობას, არ აქცევენ ყურადღებას მზრუნველთა საბჭოებისა და საშეფო ორგანიზაციების საქმიანობას, არ ღებულობენ ზომებს საბავშვო სახლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობისა და სამეურ-

ნეო-საფინანსო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ყოველწლიურად შეამოწმონ ერთობლივად საბავშვო სახლების მუშაობა, შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიასა და საბჭოების სხდომებზე და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიაღწიონ საბავშვო სახლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის და სამეურნეო-საფინანსო საქმის მკვეთრად გაუმჯობესებას; იზრუნონ აღსაზრდელთა ცხოვრებისა და სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად;

გ) უზრუნველყონ საბავშვო სახლები ექიმებით და საშუალო-სამედიცინო პერსონალით. იმ საბავშვო სახლებს, სადაც არ არის გათვალისწინებული საშტატო ერთეული, მიამაგრონ ექიმი.

2. საბავშვო სახლის დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი აღმზრდელთა და სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე: სისტემატურად შეამოწმონ აღმზრდელთა სამუშაო გეგმები და გაუწიონ მათ სათანადო დახმარება;

ბ) გააუმჯობესონ აღსაზრდელთა ჩაცმა-დახურვის საქმე, გამოუმუშაონ ბავშვებს კულტურულად ქცევისა და ჭამის ჩვევები;

გ) გამოყონ კლასგარეშე მუშაობის, იზოლატორისა და გოგონების პირადი ჰიგიენისათვის ოთახები;

დ) უზრუნველყონ ყოველდღიურად საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება და მიიღონ დროული ზომები ჯანდაცვის ორგანოების მეშვეობით გამოვლინებულ ავადმყოფ-აღსაზრდელთა გასაჯანსაღებლად.

3. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ა. ო., ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ქიათურის მთავარმა პედიატრებმა, ასპინძის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ონის, სამტრედიის, საჩხერის, თელავის, თეთრიწყაროს, ხაშურის და ჩოხატაურის რაიონების რაიპედიატრებმა გააძლიერონ

ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო სახლების ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის მუშაობის ხარისხზე. გაუწიონ სისტემატური მეთოდური ხელმძღვანელობა და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი საბავშვო სახლების ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რისთვისაც ვიწრო სპეციალისტების მონაწილეობით 1968 წლის IV კვარტალისათვის უზრუნველყონ ორკვირიანი სემინარების ჩატარება ბავშვთა ჰიგიენის, პათოლოგიის, ფიზიკური აღზრდის და საექიმო კონტროლის საკითხებზე.

4. ტუბდისპანსერის მთავარმა ექიმებმა გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიებანი საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ტუბერკულოზის პროფილაქტიკისა, ადრეული დიაგნოსტიკის, დროული მკურნალობისა და საბავშვო სახლების მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

5. სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარმა ექიმებმა მიიღონ ყველა ზომა საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ფიზიკური აღზრდის სწორი ორგანიზაციისა და საყრდენმამოძრავებელი აპარატის დეფექტების მქონე ბავშვთა დროული გამოვლინებისა და მკურნალობისათვის.

6. სანეპიდსადგურის მთავარმა ექიმებმა:

ა) განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ საბავშვო სახლების შენობების სანიტარულ მდგომარეობაზე, მათ კეთილმოწყობაზე, კვების რეჟიმის სწორ ორგანიზაციასა და ხარისხზე; აგრეთვე დააწესონ კონტროლი საბავშვო სახლების თანამშრომელთა პროფილაქტიკური გასინჯვების დროულად გატარებაზე;

ბ) საბავშვო სახლების სანიტარული მდგომარეობის უხეში დარღვევის შემთხვევაში მიიღონ მკაცრი ზომები დამნაშავეთა მიმართ; სანეპიდემიური რეჟიმის, კვების პროდუქტებით არადამაკმაყოფილებლად მომარაგების და კვების რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა გახადონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მსჯელობის საგნად.

7. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) ჩაატაროს კურს-სემინარები საბავშვო სახლების აღმზრდელების მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ჯანმრთელობისა და განათლების გან-

ყოფილებების გამგეებმა აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმ-დინარეობის შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოადგინონ ყოველი წლის 5 მაისისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების და განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების სამმართველოში.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ პროფსაბჭოს პრეზიდიუმს, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებისა და საშეფო ორგანიზაციებისა და მზრუნველთა საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, განიხილოს საბავშვო სახლებზე მიმაგრებული საშეფო ორგანიზაციების მუშაობა და განათლების სამინისტროსთან ერთად ჩაატაროს საშეფო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, მზრუნველთა საბჭოების თავმჯდომარეებისა და საბავშვო სახლების დირექტორების გაერთიანებული თათბირი.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების კოლეგიების 1968 წლის 21 ივნისის დადგენილება.

ჯანმრთელობის დაცვის
მინისტრის მოადგილე
**ლ. ქავთარაძე**

საქ. სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
**უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 26 ივნისის ბრძანება № 405

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის 1968 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ

აღვნიშნავ, რომ სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის 1968 წლის I კვარტლის სახელმწიფო გეგმები მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციების მიერ შესრულებული იქნა 73%-ით (გეგმა—1699,0 ათ. მანეთი, შესრულება—1242,2 ათ. მანეთი), მათ შორის სასკოლო მშენებლობის გეგმა—74%-ით, ხოლო სკოლამდელი დაწესებულებებისა—67%-ით, რაც წლიურ გეგმასთან შედარებით შეადგენს, შესაბამისად 12,3% და 10,5%-ს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კაპდაბანდების 1968 წლის გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტის მშენებლობა წლის დასაწყისშივე უზრუნველყოფილი იქნა მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით და დაფინანსებით, ზოგიერთ მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციას მიმდინარე წლის I აპრილისათვის არ ჰქონდა დაწყებული სკოლების მშენებლობა—ჭყვიშში, რიყეთში, ქვეშეთში, ბარისახოში, ხოლო ბაგა-ბაღებისა—ქ. ქუთაისში, რაც საფრთხის წინაშე აყენებს I სექტემბრისათვის ექსპლოატაციაში გადასაცემი სკოლებისა და წლის ბოლომდე დასამთავრებელი ბაგა-ბაღების მშენებლობის გეგმების შესრულებას. ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა ადგილობრივი სახსრებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მშენებლობისა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროების არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმით: საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ წლიური გეგმა შესრულებულია 46,7%-ით, (გეგმა 158,0 ათ. მანეთი, შესრულება 73,9 ათ. მანეთი), ხოლო საქართველოს სსრ

კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მშენებლობა საერთოდ არ დაუწყია.

განათლების ობიექტების მშენებლობის 1968 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, დაავალოს საქართველოს სსრ მშენებლობის, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობისა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს სპეციალურად განიხილონ სასკოლო, საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები სახელმწიფო გეგმების მთლიანად შესრულებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გასაშვები ობიექტების მშენებლობას და უზრუნველყონ მათი დროულად და ხარისხიანად დამთავრება.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს მეორე და მესამე კვარტალში როგორც სახელმწიფო ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმებით გათვალისწინებული გასაშვები ობიექტები საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განათლების ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა, დასახონ საჭირო ღონისძიებანი 1968 წლის სასკოლო მშენებლობისა და ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების აუცილებელი შესრულებისათვის და საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენონ ზემდგომი ორგანოების წინაშე ზომების მისაღებად;

ბ) დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გასაშვები სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის ინვენტარ-მოწყობილობის შეძენისა და შემოზიდვისათვის მიმდინარე წლის II და III კვარტალში;

გ) დააწესონ განსაკუთრებული ოპერატიული კონტროლი სასკოლო მშენებლობის იმ ობიექტებზე, რომელთა დამთავრება

გათვალისწინებულია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე—1 სექ-
ტემბრისათვის;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) გაუწიონ საჭირო დახმარება საინიციატივო სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის ობიექტებს და მიაწოდონ ამ ობიექტების საჭირო სამშენებლო მასალებით და მოწყობილობით დროულად უზრუნველყოფას.

4. კაპიტალური მშენებლობის და ტექზედამხედველობის განყოფილებებმა (ამხ. მ- ანჯაფარიძე, ამხ. ს. უჩანეიშვილი) სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ განათლების ობიექტების მშენებლობას და უზრუნველყონ ყოველთვიური და კვარტალური შესრულების მონაცემების მიღება, როგორც სახელმწიფო ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმებით გათვალისწინებულ სასკოლო მშენებლობებზე.

მოახსენონ კოლეგიას განათლების ობიექტების 1968 წლის 6 თვის მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ა/წლის 20 ივლისამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 6 ივნისის ბრძანება № 406

### მახარაძის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ მახარაძის რაიონში (განათლების განყოფილების გამგე ხ. ხავთასი) მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის.

მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობს—აძლევს მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას.

ფართოდაა გაშლილი მუშაობა სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში გამოვლინებულია საგრძნობი ნაკლოვანებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მახარაძის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ხ. ხავთასი) სკოლის დირექტორებთან ერთად:

ა) სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი განიხილოს სახალხო განათლებისა და რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, სადაც დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯოს რაიონის სკოლების დირექტორებისა და დირექტორის მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში, აგრეთვე ბიბლიოთეკებისა და ლაბორატორიების მუშაკთა კადრები და ისინი, რომელნიც თავს ვერ ართმევენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, სათანადო წესის დაცვით შეცვალოს საქმის მცოდნე, უნარიანი და ინიციატივიანი მუშაკებით.

გ) 1968—1969 სასწავლო წლის მეორე მეოთხედში შეისწავლოს მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა და თუ ისინი არ გააუმჯობესებენ მუშაობას და არ უზრუნველყოფენ სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას, სათანადო წესის დაცვით, გაათავისუფლონ სამუშაოდან;

დ) ჩამოერთვას უცხო ენების გაკვეთილები სათანადო წესის დაცვით ი. მამეიშვილს, (შემოქმედის საშ. სკოლა), ჟ. კაპანაძესა და გ. წუწუნავას (ზემო ნატანების საშ. სკოლა).

ე) საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ვ. ჩხარტიშვილს, ა. სირაძეს, ლ. გორგოშიძეს, კ. კილაძეს, მ. დარჩიას, ე. დოლიძეს (მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა) გ. მახარაძეს, ქ. ბაღათურიას, თ. მეგრელიძეს (ზემო ნატანების საშ. სკოლა), მ. ლონტს, ნ. უნგიაძეს, უ. სიხარულიძეს, (დვაბზუს საშ. სკოლა), ნ. შაფაქიძეს (შემოქმედის საშ. სკოლა), თ. ინწკირველს, მ. ინწკირველს, ტ. მამეიშვილს, ნ. კობიძეს, დ. წეროძეს (ბახვის საშ. სკოლა); ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს შ. დოლიძეს (ქ. მახარაძის II საშუალო სკოლა), ლ. კარგიშვილს, ე. ლომინაძეს (შემოქმედის საშ. სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ზ. ჟღენტს (დვაბზუს საშუალო სკოლა), შ. პატარავას (ზემონატანების საშუალო სკოლა); უცხო ენების მასწავლებლებს ნ. დონდუას და ა. კაჭკაჭიშვილს (ბახვის საშ. სკოლა); მათემატიკის მასწავლებლებს: ი. რამინაშვილს, ვ. გოგოლაძეს (ქ. მახარაძის II საშ. სკოლა), ა. ბერძენიშვილს, გ. მდინარაძეს, (შემოქმედის საშუალო სკოლა), ვ. ხომერიკს (ზემო ნატანების საშ. სკოლა), ნ. ანდღულაძეს, დ. თავართქილაძეს, ვ. დოლიძეს (ბახვის საშ. სკოლა), ც. საბაშვილს, ნ. ლომინაძეს (დვაბზუს საშ. სკოლა); ფიზიკის მასწავლებლებს: ბ. მიმინოშვილს (ზემონატანების საშ. სკოლა), გ. ლონტს (დვაბზუს საშ. სკოლა), ნ. ხელაძეს (მახარაძის მე-2 საშ. სკოლა), ნ. თავართქილაძეს, ნ. ნიკოლაიშვილს

(ზახვის საშ. სკოლა); ქიმიის მასწავლებლებს ა. მამულაიშვილს, ნ. ხავთასს (ქ. მახარაძის მე-2 საშ. სკოლა); ისტორიის მასწავლებლებს: გ. თავართქილაძეს, გ. გრძელიძეს, (ზახვის საშ. სკოლა) მიეთითოთ.

ეროვნული

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 14 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ.
თ. გ. ლაშქარაშვილს

სკოლების სამმართველოს

# მოხსენებითი ბარათი

## მახარაძის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით სასკოლო ინსპექტორების შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ე. აგლაძის, თ. მელქაძის, მეთოდისტების გ. გოროგოზიანის, თ. ხურცილავას, ტ. ჩიგოგიძის, სამეცნიერო კვლევითი პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის ბ. გოგოლაძის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მუშაკების ს. ჯინჯიხაძის, ი. ვარლამიშვილის და გ. მირცხულავას მონაწილეობით შეისწავლა მახარაძის რაიონის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. შემოწმებით დადგინდა, რომ მახარაძის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ხ. ხავთასი) დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით, რომლებიც საქმიან ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებენ სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე. განათლების განყოფილების მიერ მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილია სასწავლო-საამზრდელო მუშაობა 36 სკოლაში, მათ შორის 19 საშუალო, 9 რვაწლიან და 8 დაწყებით სკოლაში, სკოლებს ეგზავნებათ სათანადოდ გაფორმებული ნარკვევი ღონისძიებითურთ.

სკოლების შემოწმების შედეგები პერიოდულად იხილება სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და ბრძანებები ეგზავნება რაიონის ყველა სკოლას. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარე-

ბული რაიონის სკოლებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში დიდი მუშაობაა გაწეული სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივითა და სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ათამდე ტიპიური კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა. კარგად მუშაობს ქ. მახარაძის პირველი საშუალო სკოლა (დირექტორი ნ. დოლიძე). აქ მოწოდების სიმაღლეზეა დაყენებული ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლება. მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სკოლის ორგანიზატორი მ. ოკუჯავა. მაღალ დონეზეა დაყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.

თვალსაჩინო წარმატებებით გამოირჩევიან დაწყებითი (I—IV) კლასების მასწავლებლები ზ. მდინარაძე, ლ. ჩხაიძე, თ. ინგოროყვა, ლ. ჩაგელიშვილი, ქ. ბეშიტაიშვილი, თ. ვადაჭკორია, მ. სურგულაძე, ნ. კუნჭულია, ე. იოსაშვილი, ც. სვანიძე და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელები ნ. მალაზონია, ო. ლომჯარია და ა. ბუზიაშვილი (მახარაძის I საშუალო სკოლა), დარეჯან ჩხაიძე, ქეთ. თოხაძე, ლოლა თავართქილაძე (მახარაძის II საშუალო სკოლა), ეთერი მახარაძე (შემოქმედის საშუალო სკოლა).

ეს მასწავლებლები მომზადებულად ატარებენ გაკვეთილებს, რაციონალურად იყენებენ აკადემიური საათის თითოეულ წუთს, მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობის გამოყენებით აღწევენ საპროგრამო მასალების ძირითადად გაკვეთილზევე დასწავლას; ნაყოფიერად ატარებენ როგორც ზეპირ, ისე წერით სამუშაოებს. მათი ყველა მოსწავლე გამოირჩევა ზეპირი და წერითი მეტყველების მაღალი დონით. ფაქიზად, სწორად, ლამაზად წერენ, თვით მასწავლებლები წერის კარგ ნიმუშებს აწვდიან მოსწავლეებს. ყველა სახის ნაწერს ყურადღებით ასწორებენ და თანმიმდევრულად ავარჯიშებენ ბავშვებს დაშვებული შეცდომების გასწორებაზე.

მახარაძის I საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ნაყოფიერი მუშაობა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატებების მიღწევისათვის დიდათაა განპირობებული იმითაც, რომ დირექცია დახმარებისა და კონტროლის ღონისძიებებს შესაფერისად ახორციელებს. ყველა აკადემიური კლასი სრულყოფილად აკმაყოფილებს სასწავლო-სააღმზრდელო და ესთეტიკურ მოთხოვ-

ნებს. კლასები უზრუნველყოფილია შესაფერისი დახაზულობის დაფებით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ საწერი სავარჯიშოები წერის ნორმებით გათვალისწინებული მოცულობით მიაწოდონ მოსწავლეებს დაფიდან. ტექსტი და სავარჯიშოები შესაფერისად განუმარტონ მოსწავლეებს კალიგრაფიულად, ორთოგრაფიულად, პუნქტუაციურად და გონივრულად უხელმძღვანელონ წერის პროცესს. ამ სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები თვითონ კარგად არიან დაუფლებული საკალიგრაფო ხელოვნებას.

დირექტორი და მოადგილეები ხშირად ესწრებიან გაკვეთილებზე დაწყებითი კლასების მასწავლებლებს და სწორ მითითებებსაც აძლევენ მათ.

შემოწმებით გამოირკვა აგრეთვე, რომ დამაკმაყოფილებლად ატარებენ ზეპირ სავარჯიშოებს ვ. ჩხარტიშვილი, ა. სირაძე, ლ. გორგოშიძე, კ, კილაძე, მ. დარჩია, ე. დოლიძე (მახარაძის II), მიხეილ მახარაძე, ქეთევან ბალათურია (ზემო ნატანები); მ. ღლონტი, ნ. უნგიაძე, ქ. სიხარულიძე (დვაბზუს); პ. ლომინაძე, ნ. შაფაქიძე (შემოქმედის); თ. ინწკირველი, მ. ინწკირველი, ტ. მამეიშვილი, ნ. კობიძე (ბახვის) საშუალო სკოლებში.

მაგრამ ამ მასწავლებელთა მუშაობა ერთობ არადამაკმაყოფილებელია წერითი მეტყველების განვითარების საქმეში: ისინი არ იცავენ წერის ნორმებს ქართულში, რუსულსა და არითმეტიკაში. I კლასში საკლასო წერას ყოველდღე არ ატარებენ, თანმიმდევრობა დარღვეულია სუფთა წერის სწავლებაშიც. I კლასების მოსწავლეებს შინ მეტი მოცულობის წერით სამუშაოებს ავალებენ, ვიდრე კლასში აწვდიან სავარჯიშოდ. ასევე იქცევიან რუსულ ენაშიც (II კლასი), სწორად არ ესმით საკონტროლო წერითი სამუშაოების დანიშნულება; რუსულ ენაში საკონტროლო წერას თვეში ერთხელ ატარებენ (ნაცვლად 3-სა მეოთხედში). არითმეტიკაში მცირე მოცულობის სავარჯიშოებით—მხოლოდ მაგალითებით კმაყოფილდებიან, ამოცანის ამოხსნას თავს არიდებენ, უკიდურეს შემთხვევაში საკონტროლო წერის დროს (II, III, IV კლ.) მხოლოდ ერთ ამოცანას აწვდიან. არითმეტიკაში საკონტროლო წერა II კლასში სასწ. წლის I ნახევარში არც კი ჩაუტარებიათ. ქართულსა და რუსულ ენებში კარნახით წერას არ აწარმოებენ. ნაწერები გულდასმით არ სწორდება და მოსწავლეებსაც ნაკლებად ავარჯიშებენ შეცდომების გასწორებაზე.

ეს მასწავლებლები თვითონ სუსტად ფლობენ საკალიგრაფიო ხელოვნებას, წერის შესაფერის ნიმუშს ვერ აწვდიან მოსწავლეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორები და მათი მოადგილეები ნაკლებად ახორციელებენ დახმარებისა და კონტროლის ღონისძიებებს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისადმი.

ბახვის საშუალო სკოლაში (დირექტორი ბ. მდინარაძე, მოადგილე შ. თავართქილაძე) გაკვეთილების ცხრილი შედგენილი არაა დიდაქტიკური პრინციპის დაცვით. დაწყვილებული I—II—III კლასებისათვის ერთი საერთო ცხრილი აქვთ. გათვალისწინებული არაა თითოეული აკადემიური კლასის სპეციფიკა. ცხრილში მითითებული არაა მასწავლებლის უშუალო მეცადინეობისა და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის დრო, რის გამოც ისედაც მოუმზადებელი მასწავლებელი გ. წეროძე ვერ ახერხებს ახსნითი კითხვის ჩატარებას და თითოეულ კლასს სრულიად გაუცნობიერებულ მასალას აძლევს შინ დასასწავლად.

ამ სკოლაში ერთკომპლექტიანი კლასებისთვისაც არაა შედგენილი ცხრილი დიდაქტიკური პრინციპის დაცვით: II და III გაკვეთილებზე ფიზკულტურაა შეტანილი, ხოლო ბოლო გაკვეთილებზე წერა (ქართულში, რუსულში). არც ერთ დაწყებით კლასს ვარგისი და შესაფერისად დახაზული დაფა არ გააჩნია, რის გამოც მასწავლებლებს საშუალება არა აქვთ წერის ნორმებით გათვალისწინებული მოცულობის ტექსტი მთლიანად მოათავსონ დაფაზე.

მახარაძის II საშუალო სკოლაში (დირექტორი გრ. კალანდარიშვილი, მოადგილეები: ნ. ჯაყელი, ვლ. მოისწრაფიშვილი) „სუფთა წერა“ გაკვეთილების ცხრილში არც კი იყო მითითებული. ზოგ კლასში ისედაც მცირე ფართის ცალგვერდა დაფაზე სამნაირი დახაზულობაა მოცემული (ქართულის, რუსულის და არითმეტიკისათვის). მასწავლებლები იძულებული არიან სრულიად აიღონ ხელი დაფიდან წერის ნიმუშების მიწოდებაზე, კმაყოფილდებიან საწერი მასალების მიწოდებით წიგნიდან და „წერის დედანიდან“. შედეგი კი ისაა, რომ წერითი მეტყველების კულტურა ამ სკოლის დაწყებით კლასებში არადამაკმაყოფილებელია.

ზემო ნატანების საშუალო სკოლის (დირექტორი ს. ჩოქია, მოადგილე ქ. სამსონია) დაწყებითი კლასებისათვის გაკვეთილების ცხრილი შედგენილია იმის მიხედვით თუ როგორ „აწყობს“ ამა თუ იმ მასწავლებელს, ამიტომაა, რომ რუსული ენა III და IV

კლასებში კვირის ერთ დღეს სრულებით არაა ჩაწერილი, სხვა დღეს კი ამ საგნის ორი გაკვეთილია შეტანილი ზედიზედ. ასეა განლაგებული ცხრილში არითმეტიკის გაკვეთილებიც (მას. [illegible]რელიძე).

დაწყებითი კლასების მასწავლებლებს დახმარება და კონტროლი ნაკლებად ეწევათ დვაბზუს საშუალო სკოლაშიც (დირექტორი მ. ხავთასი, მოადგილე გ. ბურჭულაძე).

ბახვის, მახარაძის II, ზემო ნატანებისა და დვაბზუს საშუალო სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო მეთოდურ წერილებს წერითი მეტყველების განვითარების, დაფებრს დახაზვისა და იმ სიახლეების შესახებ, რაც უკვე რამდენიმე წელია დანერგილია ჩვენი სკოლების პრაქტიკაში. აკადემიური საათიდან მეტ დროს (20—25 წ.) საშინაო დავალების შემოწმებასა და ამა თუ იმ მოსწავლის ცოდნის შეფასებას ანდომებენ და ახსნითი კითხვისათვის დრო აღარ რჩებათ. მოსწავლეებს შინ თითქმის გაუცნობიერებელი და შეუსწავლელი მასალა ეძლევათ.

ამ სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მეტი დახმარება ესაჭიროებათ, ვიდრე მათ დღემდე ეწევათ.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები ც. გუჯაბიძე (ნინოშვილის სახელობის პირველი საშუალო სკოლა), ნ. ხელაძე, მ. კუნჭულია (ოსტროვსკის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა).

ც. გუჯაბიძემ გაკვეთილის მასალა მე-6[2] კლასში (აკ. ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“) კარგად გამოიყენა სააღმზრდელო მიზნით. მოსწავლეებმა ტექსტის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს. გზადაგზა მიმართავდნენ მნიშვნელოვანი ადგილების კომენტირებას. კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნეს ახალგაზრდა მეფოლადეთა შრომითი მამაცობის შესახებ, რუსი სპეციალისტის ვასილ ივანეს ძე ბულატოვის როლზე მათი დაოსტატების, გამოწრთობის საქმეში. ამის საილუსტრაციოდ მოიტანეს შესაფერისი ადგილები. სწორად გააანალიზეს მწერლის მიერ გამოყენებული პოეტური ხერხები. იციან მათი მიზანდასახულობაც („ბახალებივით იყვნენ ერთმანეთთან მიკრული“; „პასკასავით აფუებული და გალაქლაქებული გამოდიოდა გარეთ“ და სხვა).

სათანადო ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რაოდენ დიდ შრომას, ნებისყოფის დაძაბვას, გამბედაობას მოითხოვდა ლუმელის

შეკეთება. გაკვეთილის თემა ორგანულად იქნა დაკავშირებული კინოსურათთან „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, რომელიც „ვეფხის ტყაოსნის“ მოტივებზეა შექმნილი. საინტერესო მსჯელობა გამოიწვია შეკითხვამ—რამ გაბედვინა ვეფხიას ლუმელში შესვლა? მოსწავლეებმა დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის კარგი უნარი გამოავლინეს. მათში გამომუშავებულია ტექსტის გამომეტყველებითი კითხვის ჩვევები. მასწავლებელი სათანადო ადგილს უთმობს ენობრივი სიწმინდის დაცვას.

მასწავლებელმა ნ. ხელაძემ გაკვეთილის მასალა აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ მთლიანად დაუქვემდებარა მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის ინტერესებს. მეშვიდე კლასელებმა ტექსტიდან მოტანილი საზეპირო ადგილებით დაახასიათეს თორნიკე. ამრიგად სწორად გამოიკვეთა მისი ფიზიკური და სულიერი თვისებები. კერძოდ, აღინიშნა მისი თავმდაბლობის, ბრძოლაში პირდაპირი და უშიშარი ბუნების, დიდი სტრატეგიული ნიჭის შესახებ, საამისოდ დაიმოწმეს ადგილები: „წაგვიძღვეს ძველი არწივი. ჩვენც მივყვეთ შევარდნულადა“... გვიჯობს მივადგეთ გამოცხადებით“... საგანგებოდ გააანალიზეს ის სტრიქონებიც, რომლებშიც ლაპარაკია საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის შესახებ. მოსწავლეები კარგად იმარჯვებენ პოეტური მეტყველების ფორმებს, მჭიდროდ უკავშირებენ მათ ნაწარმოების იდეურ შინაარსს.

დასახელებულ კლასში ძირითადად დაცულია წერის სახეები და ნორმები, გასწორებაც დროულია, სისტემატური ხასიათი აქვს შეცდომების ამოწერას. ნაშრომების შინაარსი და კალიგრაფიული გაფორმება საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

ნაყოფიერად მუშაობს ლიტერატურული წრე (ხელმძღვანელი ნ. ხელაძე). ჩატარებული ღონისძიებანი თემატიკურად მრავალფეროვანია. მხატვრული გემოვნებით არის გაფორმებული ჟურნალები, ალბომები, რომლებიც ილუსტრირებულია. სხვა მასალებთან ერთად მათში შეტანილია მოსწავლეთა საკუთარი შემოქმედების ნიმუშები.

სათანადო შედეგები აქვს სწავლებაში ამავე სკოლის მასწავლებელს მ. კუნჭულიას. მეექვსეკლასელებმა აკ. ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაურის“ ცალკეული თავების შინაარსის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს, სისრულით დაახასიათეს ვასილ ივანეს ძე ბულატოვი (გარეგნობა, თვისებები), სწორად დაასათაურეს წაკითხული მონაკვეთი; შეადგინეს გეგმა, ხაზი გაუსვეს რუსი და

ქართველი ხალხის მეგობრობას, მოიტანეს შესაფერისი ადგილები მორალური კოდექსიდან.

დასახელებული კლასის საკონტროლო წერითი ნამუშევრები ძირითადად დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში არის ნაკლოვანებანი. ზოგიერთი მასწავლებელი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის, სწავლებაში არასაკმაოდ იყენებს ნაცად მეთოდებს, მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მოსწავლეთა ერთ ნაწილს უძნელდება გამართული მეტყველება, დაბალია მათი წერის დონეც. ისინი კარგად ვერ იმარჯვებენ გრამატიკულ წესებს წერით და ზეპირ მეტყველებაში.

სრულყოფილად არ იქნა გამოკითხული წინა გაკვეთილის მასალა (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი) მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის მე-$5^3$ კლასში. მასწავლებელი შ. დოლიძე დაკმაყოფილდა გრამატიკული განსაზღვრებისა და რამდენიმე მაგალითის მოთხოვნით. დასახელებული ფორმები სათანადოდ არ გაანალიზებულა მეტყველების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ნაწილს დაბალი მომზადება აქვს განვლილ თემებში. მათ უძნელდებათ რთული ქვეწყობილი წინადადებების სახეების ამოცნობა.

საკონტროლო ნაშრომებში არ ჩანს მოსწავლეთა საკუთარი განწყობილებანი, ჭარბობს მწერლის ლექსიკა. თემები არასაკმაოდ სწორდება სტილის მხრივ.

ნაკლოვანებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგაერთიანების (თავმჯდომარე შ. დოლიძე) მუშაობა. თემატიკას აკლია სისრულე, ცალკეული საკითხების განხილვას კი—სიღრმე.

ხარვეზები აქვს მუშაობაში შემოქმედის საშუალო სკოლის მასწავლებელ ლ. კარგიშვილს. მთელი სისრულით არ გამოკითხულა მე-7 კლასში თემა (ვითარების ზმნიზედა წინადადებაში). ეს უკანასკნელი არ დაუჯგუფებიათ სახეების მიხედვით, გაკვეთილზე ხაზგასმით არ აღუნიშნავთ, რომ ზმნიზედა სრულმნიშვნელოვან უფორმო სიტყვაა.

მოსწავლეთა ერთი ნაწილის ცოდნის დონე არაა საკმარისი, არც წერითი ნაშრომების მხრივაა ყველაფერი რიგზე.

ამავე სკოლის მე-6 კლასში (მასწავლებელი ვ. ლომინაძე) არათანმიმდევრულად იქნა გამოკითხული რთული სიტყვები (კომპოზიტები), ამასთან დაწვრილმანებული კითხვებით, რაც ერთგვარად ჩრდილს აყენებდა მეტყველების განვითარებას. ახალი მასალაც (რთული სახელები შინაარსის მიხედვით) სათანადოდ არ დაუკავშირებიათ მართლწერის საკითხებთან.

დასახელებული კლასის ზოგიერთი მოსწავლის წერითი საკონტროლო ნამუშევრები ვერ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას.

რუსულ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები ლ. ლლონტი, თ. მეგრელიშვილი, ლ. გაბუნია, ქ. თოხაძე, ნ. ვადაჭკორია (მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა), ნ. ჩიგოგიძე (დვაბზუს საშუალო სკოლა).

მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ლ. ლლონტი) კარგად იცოდნენ: ბარუზდინის ლექსი **„Сказка, которая не кончается“**, რომელიც ორგანულად დაუკავშირეს კოსმონავტიკის დღეს, გმირ კოსმონავტებს, საკითხავი მასალა მიზნობრივად იქნა გამოყენებული. მოსწავლეებს საკმაო ლექსიკური მარაგი გააჩნიათ, რასაც სწორად იყენებენ მეტყველების განვითარებისათვის. კარგი ცოდნა აქვთ მათ გრამატიკულ მასალაშიაც.

მასწავლებელი ლ. ლლონტი გულდასმით ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, აბამს ამ მუშაობაში კლასს, მოითხოვს მათგან გააზრებულ ცოდნას, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, იცავს საკონტროლო წერის ნორმებსა და სახეებს.

მე-9 კლასელებმა (მასწავლებელი თ. მეგრელიშვილი) დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს რუსულ ლიტერატურაში. ისინი დამოუკიდებლად გადმოსცემდნენ ნაწყვეტს, ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებიდან „კაცი ფუტლიარში“, პასუხობდნენ საკვანძო საკითხებზე, სწორად განმარტავდნენ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელსაც იყენებდნენ ზეპირ მეტყველებაში.

თ. მეგრელიშვილი სწორად აწარმოებს ნაწარმოების ტექსტის კომენტირებას, სათანადო ყურადღებას უთმობს გამომეტყველებით კითხვას და სხვ.

მომზადებულად ატარებს გაკვეთილებს რუსულ ენაში მასწავლებელი ლ. გაბუნია. გრამატიკულად გასარჩევი წინადადებები მე-8 კლასში გამართული იყო როგორც იდეურად, ისევე აღმზრდელობითი თვალსაზრისით. მოსწავლეებს შესწევთ უნარი სწორად გაარ-

ჩიონ რთული წინადადებები. გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნა კლასის მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით წარიმართა.

კარგად იქნა გამოყენებული მოსწავლეთა შორის მეგობრობის, ინტერნაციონალური სულისკვეთების აღზრდის მიზნით ა. ბარტოს ლექსი „Не забудь о братьях“. მე-$5^2$ კლასის დამწყები მასწავლებელი ნ. ვადაჭკორია სათანადოდ ფლობს რუსულ ენას, მაგრამ საჭიროებს მეთოდურ დახმარებას. იგი მოსწავლეებისაგან მოითხოვს მტკიცე ცოდნას, გულდასმით ასწორებს დაშვებულ შეცდომებს, აძლევს სწორი მეტყველების ნიმუშს.

საკმაო ცოდნა გააჩნია რუსულ ენაში IV კლასს (მასწავლებელი ქ. თოხაძე). მოსწავლეები დაუფლებული არიან სასაუბრო ენას, შეუძლიათ ისაუბრონ წლის დროებზე, გაზაფხულის ბუნებასა და ადამიანთა საქმიანობაზე.

დამაკმაყოფილებლად ერკვევიან გრამატიკის საკითხებში.

დასახელებული სკოლის მასწავლებლებს საქმიან დახმარებას უწევს მეთოდგაერთიანება (ლ. ლლონტი). საინტერესო მუშაობას ეწევიან წრეებიც (ლ. გაბუნია და თ. მეგრელიშვილი). მოსწავლეთა მიერ შედგენილი ალბომები მიძღვნილია ისტორიულ-პოლიტიკური და სხვა ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი (დიდი ოქტომბრის 50 წელი, ვ. ი. ლენინი, მაქსიმ გორკი, შოთა რუსთაველი და სხვა), წრეები პერიოდულად უშვებენ კედლის გაზეთებს, ამზადებენ ფოტოსტენდებს, აწყობენ ლიტერატურულ დილა-საღამოებს, ექსკურსიებს.

რაციონალურად იყენებს დროს გაკვეთილზე დვაბზუს საშუალო სკოლის დამწყები მასწავლებელი პ. ჩიგოგიძე. VIII კლასელები სწორად აანალიზებენ წინადადებებს, შესწევთ უნარი გრამატიკული მასალა მიზნობრივად გამოიყენონ ზეპირ მეტყველებაში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება დვაბზუსა და ზემონატანების საშუალო სკოლებში.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადების დონე დვაბზუს საშუალო სკოლის მე-9—10 კლასებში (მასწავლებელი ზ. ჟღენტი). მე-$10^1$ კლასის მოსწავლეებმა არ იციან რიგი საკითხებისა რუსული ენის გრამატიკიდან. ვერ არკვევენ სახელთა სქესს, ბრუნებას, ბრუნვას, მეტყველებაში უშვებენ ენობრივ შეცდომებს, არასწორად წარმოსთქვამენ მახვილებს. კლასიდან მხოლოდ 3—4 მოსწავლე პასუხობს.

არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა ლიტერატურის გაკვეთილი ამავე მასწავლებელმა მე-9 კლასში (გამოსაკითხავი მასალ[illegible] ჩეხოვის ბიოგრაფია). მოსწავლეები თხრობისას უშვებენ უხეშ შეცდომებს, მასწავლებელი მუშაობს მხოლოდ რამდენიმე ბავშვთან. ახალი მასალის ა. პ. ჩეხოვის „კაცი ფუტლიარში" ახსნისას მოსწავლეები არასაკმაოდ მონაწილეობდნენ.

უყურადღებოდაა გასწორებული წერები. მაგალითად, მე-10[1] კლასის მოსწავლეთა ნაშრომებში არ არის შენიშნული შეცდომები.

არ ექცევა ყურადღება მოსწავლეთა კალიგრაფიას. საწერო მუშაობა დასახელებულ სკოლაში რეფერატების კითხვით ამოიწურება (ხელმძღვანელი ზ. ჟღენტი).

ზემო ნატანების საშუალო სკოლის მე-5 კლასმა (მასწავლებელი ა. დობორჯგინიძე) იცის გავლილი პროგრამული მასალა რუსულ ენაში (ზმნა, მისი კითხვები, უღლება, თანდებულები და მათი გამოყენება), მაგრამ მეტყველებაში უშვებენ შეცდომებს, არასწორად გამოთქვამენ მახვილებს, შეცდომით წარმოთქვამენ რბილ და მაგარ, ყრუ და მჟღერ თანხმოვნებს. ა. დობორჯგინიძე მოსწავლეებს გაკვეთილებზე ხშირად ქართულად ესაუბრება, მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში შეცდომები შეუნიშნავია. ყურადღება არ ექცევა კალიგრაფიას. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ადგილი აქვს ლიბერალიზმს.

ამავე სკოლის მასწავლებელი შ. პატარავა გაკვეთილს თითქმის ქართულ ენაზე ატარებს, რის შედეგად მოსწავლეთა მეტყველება ძალზე ცუდია. წერის ნორმები დაცულია, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს წერის სახეებსა და მოცულობას, გასწორების ხერხებს. წერის სახეებიდან წერა ზეპირად და კარნახით ტოვებს გადაწერილის შთაბეჭდილებას (უწერიათ თითქმის უშეცდომოდ, კლასი კი საგანში ძალზე სუსტია).

სათანადოდ არ იცის რუსული ენა ამავე სკოლის მე-4 კლასის მასწავლებელმა თ. მეგრელიძემ. მას არ შესწევს უნარი ავარჯიშოს კლასი სასაუბრო ენაში. შედეგად მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი ძალზე ღარიბია, თ. მეგრელიძემ გაკვეთილის მასალა უხეში შეცდომებით წაიკითხა. კლასის წინაშე აყენებს გაუმართავ კითხვებს.

ძირითადად დაცულია საკონტროლო წერის ნორმები და სახეები ზემო ნატანებისა და ბახვის საშუალო სკოლებში, მაგრამ

მაინც შეინიშნება ნაკლოვანებანი. მაგალითად, ბახვის საშუალო სკოლის მე-10 კლასის (მასწავლებელი ვ. ინწკირველი) ზოგიერთი ნამუშევარი მოცულობით ძალზე მცირეა. ამასთან არ ჩანს მოსწავლის დამოუკიდებლობა.

ზემო ნატანების საშუალო სკოლის მე-10 კლასში საკარნახო ტექსტი მხოლოდ 80 სიტყვისაგან შედგება (მასწავლებელი ქ. ჭანტურია) და მასში შეუნიშნავია ბევრი შეცდომა. არ ექცევა ყურადღება მოსწავლეთა კალიგრაფიას და ა. შ.

უცხოური ენების სწავლება ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას. სკოლას აქვს უცხოური ენის კაბინეტი, რომელიც მდიდარია გრამატიკული ცხრილებით, ტაბულებითა და სურათებით. კაბინეტში არსებული თითქმის ყველა თვალსაჩინო მასალა თვითნაკეთია.

ინგლისური ენის მასწავლებელი ლ. ენუქიძე კარგად ფლობს ენას, გაკვეთილს ინგლისურ ენაზე და მეთოდურად გამართულად ატარებს, უხვად იყენებს თვალსაჩინოებას, რის შედეგადაც მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია; ასევე კარგად ასწავლიან გერმანულ ენას მასწავლებლები ე. არობელიძე და ლ. იმედაშვილი. ისინი მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს ატარებენ, მოსწავლეები მოფიქრებულად პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე და უცხოურ ენაზე გადმოსცემენ ნასწავლილი მასალის შინაარსს, მაგრამ მასწავლებლები გაკვეთილებზე ჯერ კიდევ მეტყველებენ ქართულად, რაც დიდ ნაკლად ჩაითვლება მათ მუშაობაში და რის გამო მათ თვით ავიწყდებათ სასაუბრო ენა და გამართულად ვერ მეტყველებენ გერმანულ ენაზე.

ბახვის საშუალო სკოლაში არის უცხოური ენის პატარა კაბინეტი. მასწავლებლები ნ. დონდუა და ა. კაჭკაჭიშვილი დამაკმაყოფილებლად ფლობენ ინგლისურ ენას, მაგრამ მომზადების დონე დაბალია, რადგან მასწავლებლები გაკვეთილებს ქართულ ენაზე ატარებენ, იფარგლებიან კითხვისა და თარგმნის მეთოდით, არ იყენებენ გაკვეთილზე თვალსაჩინოებას, არ აწარმოებენ ლექსიკაზე მუშაობას.

ზემო ნატანების საშუალო სკოლაში გერმანულ ენას არასპეციალისტები ჟ. კაპანაძე და გ. წუწუნავა ასწავლიან, რომლებიც ვერ ფლობენ ენას. კითხვისა და საუბრისას უშვებენ უხეშ შეცდომებს. X კლასის მოსწავლეებს კითხვაც კი უჭირთ, რომ არა-

ფერი ვთქვათ გრამატიკის ცოდნასა და ლექსიკური მარაგის შე-სახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვაბზუს საშუალო სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლებელი ჯაფარიძე, ის დამწყები მასწავლებელია, ენას დამაკმაყოფილებლად ფლობს, გაკვეთილზე ცდილობს იმეტყველოს უცხო ენაზე, იყენებს თვალსაჩინოებას. მაგრამ სჭირდება მეთოდური დახელოვნება.

შემოქმედის საშუალო სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლის ე. მამეიშვილი, რომელსაც 1945 წ. დამთავრებული აქვს ორწლიანი კურსები, მაგრამ ის სავსებით დისკვალიფიცირებულია, უშვებს უხეშ შეცდომებს მეტყველებაში, არასწორად სვამს კითხვებს, არ იცის ინგლისური ენის გრამატიკა, ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს როგორც გაკვეთილზე, ასევე საკონტროლო წერითი ნამუშევრების გასწორებისას. მოსწავლეთა ცოდნას ლიბერალურად აფასებს.

შემოწმებული სკოლების არცერთი მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალების რვეულებს და სიტყვარებს. საკონტროლო წერის რვეულებში გაპარულია გაუსწორებელი შეცდომები. ხშირ შემთხვევაში არ არის დაცული წერის სახეები.

შემოწმებული სკოლების ზოგიერთ კლასებში მათემატიკის სწავლება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მასწავლებლები: ე. შოშიტაიშვილი, ლ. ლოხიშვილი, ქ. ნაფეტვარიძე (I საშ. სკოლა) თ. ჭანუყვაძე (შემოქმედის საშუალო სკოლა) სისტემატურად მუშაობენ თავიანთ თავზე, იყენებენ სწავლების აქტუალურ და ნაცად მეთოდებს.

პირველი საშუალო სკოლის V კლასის არითმეტიკის მასწავლებელმა ე. შოშიტაიშვილმა კარგად გაანაწილა დრო გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად. მოკლე დროში მოახდინა საშინაო დავალების შესრულების შემოწმება. დავალება (რიცხვითი მაშტაბი) ყველა მოსწავლეს ჰქონდა მომზადებული, მასწავლებელმა მოხდენილად შეუთავსა შესწავლილი თეორიული მასალა შესაბამის პრაქტიკულ ვარჯიშს (რუკაზე მოცემულ ორ ქალაქს შორის მანძილისა და მაშტაბის მიხედვით ქალაქებს შორის ფაქტიური მანძილის გამოანგარიშება და შებრუნებული ამოცანის გადაწყვეტა).

კლასმა კარგად იცის გავლილი მასალა: ნატურალური რიცხვები, ჩვეულებრივი წილადები და ათწილადები და მათზე მოქმედე-

ბანი. წილადებზე და ათწილადებზე ერთდროულად ოთხ არითმეტიკულ მოქმედებათა შესრულებისას კარგად იყენებენ შესწავლილ თეორიულ მასალას, გაკვეთილი ძალზე ცოცხლად მიმდინარეობდა და მასში ყველა მოსწავლე იყო ჩაბმული.

მაგრამ ასე არ მუშაობს შემოწმებული სკოლების ყველა მასწავლებელი. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, სისტემატურად არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ სარგებლობს მეთოდური ლიტერატურით, კმაყოფილდება მხოლოდ მოსწავლეთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს გამოყენებით, ამის გამო დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები ი. რამინაშვილი, ვ. გორგილაძე (II საშ. სკოლა) ა. ბერძენიშვილი, გ. მდინარაძე (შემოქმედის საშუალო სკოლა), ვ. ხომერიკი (ზემო ნატანების საშუალო სკოლა), ნ. ანდღულაძე, დ. თავართქილაძე, ვ. დოლიძე (ბახვის საშუალო სკოლა), ც. საბაშვილი, ნ. ლომინაძე (დვაბზუს საშუალო სკოლა).

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეომეტრიაში II საშუალო სკოლის VII² კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი კ. გორგილაძე), მათ არ იციან რას ეწოდება წრეხაზი, წრის რადიუსი და ქორდა, ზერელედ აქვთ შესწავლილი თეორემა ქორდის შუა წერტილზე გავლებული დიამეტრის შესახებ, იმის გამო, რომ თეორიული მასალა საფუძვლიანად არ აქვთ შესწავლილი და კლასი არასაკმაოდ არის ნავარჯიშები ამოცანების ამოხსნაზე, არ შესწევთ უნარი მარტივი ამოცანების ამოხსნისა, კლასმა ვერ შეძლო ელემენტარული ამოცანის გადაწყვეტა, რადგან მოსწავლეებმა საფუძვლიანად არ იცოდნენ მართკუთხა სამკუთხედის ტოლობის ნიშნები.

ცუდად იციან გავლილი საპროგრამო მასალა ამავე სკოლის V კლასის მოსწავლეებმა არითმეტიკაში (მასწ. ი. რამინაშვილი). მიცემული საშინაო დავალება ყველა მოსწავლეს არ ჰქონდა გადაწყვეტილი. დავალების შემოწმებაც არასწორად მოაწყო მასწავლებელმა, დაფასთან გამოძახებული მოსწავლე რვეულიდან იწერდა შესრულებულ მოქმედებებს. კლასი ვერ ახერხებს ათწილადებზე მოქმედებათა შესრულებას, კერძოდ 0,0001 ვერ გაყვეს 0,005-ზე. დამოუკიდებლად ვერ შეასრულეს მოქმედება $7\frac{65}{16}: 0,02$-ზე, არ იციან რას ეწოდება წილადის შეკვეცა, ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ

მარტივ და შედგენილ რიცხვებს, საერთოდ ძალზე დაბალია კლასის მომზადების დონე.

მოსწავლეთა დაბალი მომზადების მხრივ ანალოგიური სურათია დვაბზუს, შემოქმედის და ბახვის საშუალო სკოლების V კლასებში (მასწავლებლები: ნ. ლომინაძე, გ. მდინარაძე, დ. თავართქილაძე). შემოქმედის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა არ იციან წილადების შეკვეცა ([illegible] ვერ შესძლო $\frac{10}{6}$-ის შეკვეცა), შეკრების კომუტატურობის თვისება, შერეული რიცხვების და ერთნაირმნიშვნელიანი წილადების შეკრება, ვერ შესძლეს მაგალითის $4\frac{2}{5}+3\frac{1}{3}+6\frac{3}{5}+7\frac{3}{5}$ შეკრება.

სუსტად ფლობენ VIII კლასის მოსწავლეები გავლილ მასალას ალგებრაში. ზერელედ იციან კვადრატული განტოლების ფესვების თვისებები (ვიეტას თეორემა), ვერ ახერხებენ დაადგინონ $x^2+4x+3=0$ განტოლებების ფესვები, არ იციან რიცხვიდან მიახლოებითი კვადრატული ფესვის განსაზღვრა და სხვა.

დაბალია აგრეთვე VI კლასის მოსწავლეთა მომზადება ალგებრაში (მასწავლებელი ა. ბერძენიშვილი). მოსწავლეები ვერ განმარტავენ რას ეწოდება ერთწევრი, მრავალწევრი, როგორ რიცხვებს ეწოდება მოპირდაპირე რიცხვები, რას უდრის მოპირდაპირე რიცხვების ჯამი და სხვა.

ალგებრა-ელემენტარულ ფუნქციებში მოსწავლეთა მომზადების საქმეში ანალოგიური მდგომარეობა არის დვაბზუს საშუალო სკოლის VIII, IX კლასებში.

არადამაკმაყოფილებლად იციან გავლილი საპროგრამო მასალა გეომეტრიაში ზემო ნატანების VI კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ვ. ხომერიკი). ისინი ვერ პასუხობენ ელემენტარულ საკითხებზე: როგორ კუთხეებს ეწოდება მოსაზღვრე კუთხეები, რა თვისება აქვთ მათ, ვერ ახერხებენ კუთხის წაკითხვას და ჩაწერას, არ იციან სამკუთხედების ტოლობის ნიშნები და სხვა. ბავშვები შეჩვეული არიან კარნახს და გაკვეთილის მოყოლისას წიგნებით სარგებლობას. ამ მხრივ ანალოგიურ ფაქტს ვხვდებით ბახვის საშუალო სკოლის VIII[1] კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე (მასწ. ვ. დოლიძე). მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა: რას ეწოდება მონაკვეთების შეფარდება, როგორ მონაკვეთებს ეწოდება პროპორციული მონაკვეთები, ვერ აყალიბებენ პითაგორას თეორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას და ვერ ახერხებენ მის გამოყენებას პრაქტიკული მაგალითების გადაწყვეტისას.

მოსწავლეთა დაბალი მომზადების დასახელებული ფაქტები იმითაც აიხსნება, რომ მასწავლებელთა მიერ სათანადოდ არ არის გამახვილებული ყურადღება მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარის და ჩვევის ჩამოყალიბების საკითხისადმი. ცუდად არის ნაწარმოები საკლასო და საშინაო დავალებანი, არ ხდება მასწავლებელთა მიერ რვეულების სისტემატური გასწორება, არ წარმოებს საკონტროლო წერების სათანადო მომზადება და ჩატარება. ამის გამო დაბალია ჩატარებული საკონტროლო წერების ხარისხი. თემატიკა ვერ პასუხობს მოთხოვნას და შეინიშნება მოსწავლეთა შეფასებაში ლიბერალიზმი. ასეთ ფაქტს ვხვდებით, მაგ. ზემო ნატანების და მახარაძის II საშუალო სკოლის V კლასების (მასწ. ნაკაიძე, მ. ბერიშვილი, რამინაშვილი) მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში. ცუდი შედეგები მოგვცა შემოწმებული სკოლების X კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა, მიუხედავად იმისა, რომ საკონტროლო წერებისათვის ამოცანები და მაგალითები შეირჩა საშუალოზე უფრო ნაკლები სიძნელისა. ღვაბზუს საშუალო სკოლის X კლასის 48 მოსწავლის წერითი ნამუშევრიდან (მასწ. საბაშვილი) არადამაკმაყოფილებლად შეფასდა 39 ნამუშევარი, ბახვის საშუალო სკოლის $x^2$ კლასში (მასწ. ი. კოპლატაძე) 17-დან—12, $X^1$ კლასში (მასწ. ნ. ანდღულაძე) 19-დან—16, მახარაძის მეორე საშუალო სკოლის X კლასებში (მასწ. ნ. ჯაყელი) 41 ნამუშევრიდან არადამაკმაყოფილებლად შეფასდა 21 ნამუშევარი.

კარგადაა დაყენებული ფიზიკის სწავლება ქ. მახარაძის პირველ საშუალო სკოლაში. მასწავლებელი მ. მუჯირი მთელი მონდომებით მუშაობს და გაკვეთილებს მაღალ მეცნიერულ-მეთოდურ დონეზე ატარებს; მოსწავლეებმა შეგნებულად იციან გავლილი საპროგრამო მასალა. ასევე კარგად მუშაობენ ამავე სკოლის მასწავლებლები გ. ლომთათიძე, ქ. ნაფეტვარიძე. სკოლაში სათანადოდ არის მოწყობილი ფიზიკის კაბინეტი, ხელსაწყო-იარაღები მოვლილია და მაქსიმალურადაა გამოყენებული სწავლებაში, რეგულარულად ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები და სადემონსტრაციო ცდები. ლაბორანტი ც. მენაბდე კარგად ფლობს ხელსაწყო იარაღებს და ლაბორატორიული სამუშაოებისა და ცდე-

ბის ჩატარების ხერხებს. ასევე კარგად მუშაობს შემოქმედის საშუალო სკოლის ლაბორანტი ც. სიამაშვილი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ფიზიკის სწავლება ზემო ნატანების (მასწავლებელი მიმინოშვილი), დვაბზუს (მასწ. გ. ღლონტი), ბახვის (მასწავლებლები ნ. თავართქილაძე, ნ. ნიკოლეიშვილი), შემოქმედის (მასწავლებელი თ. მშვიდობაძე), ქ. მახარაძის მე-2 (მასწავლებლები ნ. ხელაძე, ბ. კიკვიძე, გ. კალანდარაშვილი) საშუალო სკოლებში. აღნიშნული მასწავლებლები ვერ აძლევენ მოსწავლეებს საგნის ღრმა და გააზრებულ ცოდნას. მოსწავლეები რიგ შემთხვევაში ზეპირად ამბობენ ფიზიკურ ცნებებს, დებულებებს, კანონებს, მაგრამ არ შეუძლიათ შეგნებულად ახსნან ისინი. ასე, მაგალითად, სწორად ვერ ერკვევიან ნივთიერების ხვედრითი წონისა და სიმკვრივის, მასისა და წონის, გამტართა ხვედრითი წინააღმდეგობისა და სხვა ცნებებში.

მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები ზეპირად განმარტავენ წნევას, მაგრამ არ იციან თუ როგორ აწარმოებს გაზი წნევას ჭურჭლის კედლებზე. ამბობენ მოლეკულურ კინეტიკური თეორიის დებულებებს, მაგრამ ვერ ხსნიან ამ დებულებებიდან გამომდინარე შედეგებს, ასევე მოსწავლეები განმარტავენ სითბური მანქანის მ. ქ. კოეფიციენტს, მაგრამ ვერ ანგარიშობენ მ. ქ. კ-ის სიდიდეს. განსაზღვრავენ გეილუსაკის კანონს, ხოლო ვერ აგებენ მის გრაფიკს. მე-10 კლასის მოსწავლეები ვერ ხსნიან თუ როგორ წარმოიშობა მოვლენა გაზებში; როდის და რატომ მიიღება ნაჯერი დენი გაზებში, ორელექტროდიან მილაკში; ფოტოელექტროელემენტისაგან შემდგარ წრედში და სხვა.

ასევე შემოქმედის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან კულონის კანონის ფორმულაში შემავალ $E_0$ და K სიდიდეების მნიშვნელობებში, ვერ ადგენენ დიელექტრიკული მუდმივას მნიშვნელობას და ერთეულს; ვერ ხსნიან კათოდური სხივების წარმოშობას. ანალოგიური მდგომარეობაა ბახვის და დვაბზუს საშუალო სკოლებში.

ზემო ნატანების, დვაბზუს, ბახვის საშუალო სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ფიზიკის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღების მოვლისა და სწავლებაში გამოყენების საქმეს. დვაბზუს საშუალო სკოლაში რამოდენიმე წლის წინათ შეძენილი იარაღ-ხელსაწყოები შეფუთული, გაუხსნელად აქვთ შენახული და გაკვეთილებს ზეპირსიტყვიერად ატარებენ. ქ. მახარაძის მეორე

დვაბზუს, ზემო ნატანების საშუალო სკოლების ლაბორანტებმა ნ. დუმბაძემ, ნ. კიკვაძემ, თ. მოქიამ არ იციან კაბინეტებში არსებული იარაღ-ხელსაწყოები მათ არ შესწევთ ლაბორატორიული, სამუშაოების ან სადემონსტრაციო ცდების მომზადების უნარი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქ. მახარაძის პირველი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ლ. კილურაძეს, რეგულარულად ატარებს ცდებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, სწავლებაში ფართოდ იყენებს ტექნიკურ საშუალებებს, ყურადღებას აქცევს საქარხნო დანადგართა მოდელების, ტექნოლოგიური პროცესების სქემების, ქიმიური ნედლეულისა და მზაპროდუქციის გაცნობას, რაციონალურად ახდენს მოსწავლეთა მიერ დამზადებულ თვალსაჩინო მასალების გამოყენებას სწავლებაში. მოსწავლეებს აქვთ მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა და კარგ პრაქტიკულ მომზადებასაც ამჟღავნებენ- ასევე კარგად არის დაყენებული ქიმიის სწავლება ბახვის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ს. ჟღენტი).

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები ე. ცეცხლაძე (ზემონატანების საშ. სკოლა), მ. თოდრაძე (შემოქმედის საშ. სკოლა) და დ. კუჭუხიძე (დვაბზუს საშ. სკოლა).

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებით ხასიათდება ქიმიის სწავლება მახარაძის მე 2 საშუალო სკოლაში. მასწავლებლები ა. მამულაიშვილი და ნ. ხავთასი სუსტად ფლობენ ქიმიური ექსპერიმენტის ტექნიკას, ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, იშვიათად ტარდება ექსკურსიები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს სწავლებაში. მოსწავლეთა ცოდნის დონე საგრძნობლად დაბალია. IX კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ნაერთთა ძირითადი კლასების ქიმიურ თვისებებში, ვალენტობაში, ვერ წერენ ქიმიურ ფორმულებს და ტოლობებს, ვერ საზღვრავენ ნაერთთა ფორმულებისა და ტოლობების შედგენისას ემპირიული ფორმულებიდან ცალკეული ელემენტის ვალენტობას და ვერ ერკვევიან სხვა მთელ რიგ საკვანძო საკითხებში. აღნიშნული მასწავლებლები სათანადოდ ვერ იყენებენ ქიმიის პროგრამით გათვალისწინებულ თემებს მოსწავლეებში მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავების და ათეისტური აღზრდისათვის. იმის გამო, რომ ქიმიის გაკვეთილები ცხრილში ერთდროულადაა მოქცეული გაკვეთილების ნაწილი საკლასო ოთახებში ტარდება. დვაბზუს საშუალო სკოლაში

ქიმიის კაბინეტი ღარიბია ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით, რის გამო არ არის შესაძლებლობა ჩატარდეს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები.

ზემო ნატანების საშუალო სკოლაში ქიმიის კაბინეტი მცირე ზომის ოთახშია მოთავსებული და მეტად რთულ პირობებში ტარდება პრაქტიკული სამუშაოები.

შემოქმედის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. თოდრაძე ატარებს პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, მაგრამ არ ახდენს რვეულების გასწორებას, არ ატარებს საკონტროლო წერებს და არ აწარმოებს თემის დამთავრების შემდეგ ჩათვლითი ხასიათის მეცადინეობის ჩატარებას.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში ბიოლოგიის სწავლება გარკვეული მიღწევებით ხასიათდება. მასწავლებლები ეყრდნობიან რა ი. ვ. მიჩურინისა და ი. პ. პავლოვის მოძღვრებებს, თეორიულ მასალასთან ერთად მოსწავლეებს ვრცლად აცნობენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის საფუძვლებს. უნერგავენ მოსწავლეებს შრომისადმი სიყვარულს, ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს და დემონსტრაციებს, მიზანშეწონილად აწყობენ სასწავლო ექსკურსიებს, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას.

კარგად ისწავლება ბიოლოგია დვაბზუს საშუალო სკოლაში (მასწ. ლ. იმნაძე) სკოლას აქვს სათანადოდ მოწყობილი მდიდარი ბიოლოგიის კაბინეტი, კაბინეტში უხვადაა თვალსაჩინო მასალები (ჰერბარიუმები, სველი პრეპარატები, მარტივი სახის ხელსაწყო-იარაღები და სხვა). მოსწავლეები პრაქტიკულად ასრულებენ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მცენარეთა მყნობას, ახალგაზრდა მცენარეების გამოზრდას მცენარეების ავადმყოფობათა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა.

ასევე კარგად ისწავლება ბიოლოგია ქ. მახარაძის პირველ (მასწავლებელი მ. ამბროლაძე), ზემონატანების (მასწ. ვ. ცეცხლაძე), ბახვის (მასწ. გულნარა და ლიზა მგელაძეები) საშუალო სკოლებში.

მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება შემოქმედის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გ. გოლიაძე გულმოდგინედ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, იშვიათად ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, მოსწავლეები კონკრეტულ წარმოდგენას ვერ იძენენ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ბიოლოგიის როლის

შესახებ. მათ სუსტად იციან სტრუქტურული ნიადაგის თვისებებს, ნიადაგის გაფხვიერების მნიშვნელობა, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მცენარის სუნთქვისა და კვების პროცესებზე, ვერ ასხვავე-ბენ თბილსისხლიან და ცივსისხლიან ცხოველებს და ვერ ხსნიან მათ გამომწვევ მიზეზებს, ვერ ახერხებენ პირობითი და უპირობო რეფლექსებზე მაგალითების მოყვანას.

შესწავლილი სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე არ აქვთ მოწყობილი ზოოლოგიური განყოფილება და სასათბურო მეურნეობა, არ აქვთ საჭირო სამეურნეო-სამუშაო იარაღები, მინერალური სასუქები, სათესლე მასალა, შხამ-ქიმიკატები, ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს ზოგადი ბიოლოგიის სწავლება, რადგან სკოლები არ არიან მომარაგებული სასწავლო თვალსაჩინო მასალით.

კარგი მუშაობაა ჩატარებული დვაბზუს საშუალო სკოლის სასწავლო საცდელ ნაკვეთზე (დირექტორი მ. ხავთასი, მასწ. ლ. იმნაძე). მოსწავლეთა ძალებით გაშენებულია ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები, ხდება ბოსტნეული კულტურების გამოყვანა-მოყვანა, როგორც კვალსათბურებში ისევე ღია გრუნტზე. სწარმოებს მოსწავლეთა მიერ ცდების დაყენება, სწორად ხდება ცდის თემების შერჩევა საცდელი და საკონტროლო დანაყოფების მოწყობა, ცდა-დაკვირვებათა აღრიცხვა. ჩატარებული ცდები ცხადყოფენ მოსწავლეთა ნაყოფიერ მუშაობას. მაგ., მათ მიერ დაყენებული ცდები: მინერალური სასუქების გავლენა ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის ზრდაზე, სხვადასხვა დროს გასხვლისა და რგვის გავლენა მცენარის ზრდა-განვითარებაზე და სხვა.

მასწ. ლ. იმნაძის ჩატარებული გაკვეთილი V კლასში მეთოდურად სრულყოფილი იყო. თემის „ნიადაგის თესვისწინა დამუშავების" ახსნისას მოსწავლეებს შეახსენა ბოტანიკის კურსიდან მცენარისა და თესლის აგებულება, თესვის აღმოცენებისათვის საჭირო პირობები. მცენარის მოთხოვნები გარემო ფაქტორების მიმართ და სხვა. მასალის ახსნისას კარგად იყენებს თვალსაჩინოებას. გაკვეთილზე თეორიული ინსტრუქტაჟის მიცემის შემდეგ მოსწავლეები რგოლებად დაყოფილ, გაპიროვნებულ ნაკვეთებზე იწყებენ პრაქტიკულ მუშაობას.

მასწავლებელი აკონტროლებს მათ საქმიანობას და აძლევს შენიშვნებს, რითაც სრულყოფილი ხდება გაკვეთილი. ამის შედეგია ის, რომ V კლასის მოსწავლეები კარგად ფლობენ საკითხებს:

ნიადაგის სტრუქტურიანობა და მისი განსაზღვრა. მცენარეთა ორგანოები და მათი დანიშნულება, გარე ფაქტორების [illegible] მცენარის ზრდა-განვითარებაზე და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელ ლ. იმნაძეს ძალზე კარგად აქვს მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტი, რომელსაც რიგ შემთხვევაში იყენებს შრომითი სწავლების გაკვეთილებზე.

ასევე კარგ მუშაობას ატარებს მახარაძის პირველი საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი შ. ამბროლაძე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ძალზე მცირე სასწავლო საცდელი ნაკვეთი აქვს ის წარმოადგენს ღია ცის ქვეშ ლაბორატორიას. სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვნებით, ხდება სამუშაოთა აღრიცხვა, შედეგების შეჯამება-განზოგადება და სხვა.

კარგი მუშაობა ტარდება ქ. მახარაძის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო სახელოსნოებში (მასწ. ა. გორგოშიძე), რომლებიც აღჭურვილია საჭირო დაზგა-დანადგარებით. საკმაო რაოდენობით აქვთ ლითონის და მერქნის დასამუშავებელი იარაღები, მტკიცედ იცავენ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებს. მოეპოვებათ მოსწავლეთა მიერ პრაქტიკული მუშაობის პროცესში შექმნილი ნაკეთობანი. მოსწავლეთა შრომა შემოქმედებითი ხასიათისაა.

დამაკმაყოფილებელია ბახვის და დვაბზუს სასწავლო სახელოსნოების მუშაობა (მასწავლებლები ტ. მანჯგალაძე. ო. ქავჟარაძე). მოსწავლეებში გამომუშავებულია შრომის სწორი ჩვევები, იგრძნობა მათში შრომისადმი დაინტერესება და სიყვარული, მათ მიერ შესრულებული სამუშაოები ხარისხიანია. ბახვისა და დვაბზუს საშუალო სკოლების სასწავლო სახელოსნოებში მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რომ მათ გააჩნდეთ უკეთესი ბაზა.

შემოქმედის, ბახვის, ზემონატანების (მასწ. გ. გოლიაძე, გ. მგელაძე, ლ. მგელაძე, ვლ. ცეცხლაძე) საშუალო სკოლებს, მიუხედავად იმისა, რომ გამოყოფილი აქვთ საკმაო რაოდენობით მიწის ნაკვეთები, მასზე დღემდე არავითარი საცდელ-პრაქტიკული მუშაობა არაა ჩატარებული, არაა დაყენებული პროგრამით გათვალისწინებული საშემოდგომო ცდები. ნაკვეთები არაა დაგეგმილი და დამუშავებული, კვალსათბურები და სათბურები მიტოვებული და მოუვლელია. არ გააჩნიათ სრულყოფილად შედგენილი ნაკვეთის სამუშაო გეგმები, ფენოლოგიურ დაკვირვებათა ჟურნალები

და სხვა. ასევე უფერულია ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბახვის საშუალო სკოლის მასწავლებლები გ. მგელაძე, ლ. მგელაძე და შემოქმედის საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. გოლიაძე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ისინი თვითნებურად, ყოველგვარი გეგმისა და პროგრამის გარეშე ატარებენ გაკვეთილებს. ბახვის საშუალო სკოლის $VI^{2}$ კლასში მასწავლებლები ლ. მგელაძე და გ. მგელაძე ჯგუფის ერთ განაყოფთან ატარებენ გაკვეთილებს (ხან ერთი და ხან მეორე მასწავლებელი), დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ამავე კლასში შეიმჩნევა მოსწავლეთა მოუმზადებლობა. თვით მასწავლებლებიც სრულიად მოუმზადებლად, ყოველგვარი თვალსაჩინოებისა და სამუშაო იარაღების გარეშე ატარებენ გაკვეთილებს.

მახარაძის მეორე, ზემო ნატანებისა და შემოქმედის საშუალო სკოლების სასწავლო სახელოსნოებს არა აქვთ საკმაო რაოდენობით დაზგა-დანადგარები, ლითონის და მერქნის დასამუშავებელი მასალა და სხვა.

კარგად ისწავლება ისტორია ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ზ. ხინთიბაძე). VI კლასის მოსწავლეებმა საფუძვლიანად იციან გავლილი საპროგრამო მასალა—ფეოდალური წყობილების დამყარება დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, არაბობა VI—XI ს. ს. ქრისტიანული ეკლესია—XI—XIII ს. ს. ეკლესიის სიმდიდრის წყაროები, ეკლესიის გაყოფა, კათოლიკური ეკლესიის ძლიერება, პაპის ძალაუფლება, ეკლესიის რეაქციული როლი. ჯვაროსანთა ლაშქრობის მიზეზები და ხასიათი, აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლა ჯვაროსნების წინააღმდეგ, ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგები დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთში.

მასწავლებელი მოხდენილად იყენებს ისტორიის მასალას ბავშვებში მეგობრობის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალური და ანტირელიგიური გრძნობების აღზრდისათვის.

სუსტად ისწავლება ისტორია ბახვის საშუალო სკოლაში. VI კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებში, ვერ იძლევიან ისტორიული მოვლენების მარქსისტულ გაგებასა და ახსნას—რომის იმპერიის დაღუპვას ხსნიან გარეგანი

მიზეზით, ბარბაროსების შემოსევით, რასაც მასწავლებელიც არ ასწორებს. მასწავლებელი შ. თავართქილაძე სწავლებაში არ იყენებს შესაფერ რუკებს, დიაგრამებს, სქემებს და სხვა თვალსაჩინო მასალებს, რუკაზე ვერ იქნა მონახული ლიონი, რადგან არ ჰქონდათ ევროპის რუკა. ბავშვები არ არიან მიჩვეული დამოუკიდებელი პასუხების გაცემას, მოსწავლეებს წიგნები გადაშლილი ჰქონდათ და კითხვებზე ისე პასუხობდნენ. უფრო დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს VII კლასის (მასწავლებელი გ. ჭელიძე) მოსწავლეებმა. მათ არ იციან პირველყოფილთემური წყობილება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, მონათმფლობელური წყობილება ჩვენი ქვეყნის სამხრეთში, აღმოსავლეთი სლავები. ადრეფეოდალური სახელმწიფო ცენტრით კიევში. რუსეთის ფეოდალური დაქუცმაცებულობა, რუსი ხალხისა და ბალტიისპირეთის ხალხების ბრძოლა გერმანელ და შვედ ფეოდალთა წინააღმდეგ, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა და განმტკიცება და ა. შ.

გაკვეთილზე არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

ნაკლოვანებებით ხასიათდება საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება მახარაძის მე-2 საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გ. მოისწრაფიშვილი ნაკლებად კითხულობს დამხმარე ლიტერატურას, გაკვეთილის მასალის ახსნისას იფარგლება მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოთი. მოსწავლეებს არ გააჩნიათ მასალის საფუძვლიანი და გააზრებული ცოდნა.

სკოლებში სასკოლო ბიბლიოთეკები ძირითადად მოთავსებულია შესაფერის ბინებში—ფართო და ნათელ ოთახებში. წიგნადი ფონდი პერიოდულად ივსება ახალი საბავშვო, მხატვრული, პედაგოგიური და პოლიტიკური ლიტერატურით.

სასკოლო ბიბლიოთეკართა ერთ ნაწილს დამაკმაყოფილებლად აქვს გაშლილი მოსწავლეთა შორის წიგნის პროპაგანდა. მაგალითად, საინტერესო ღონისძიებები ტარდება წიგნის პროპაგანდის მიზნით, მახარაძის I საშუალო სკოლაში. აქ მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი და წაკითხული იქნა მოხსენებები: „ლენინის სახე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში", „ოქტომბრის რევოლუციის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში" და სხვა.

ჩატარდა აგრეთვე მ. გორკისადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია, სადაც წაკითხული იქნა მოხსენებები: „გორკის ცხოვ-

რება და შემოქმედება“, „გორკი და საქართველო“, „მ. გორკი სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი“ და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდულად ტარდება ხმამაღალი, მხატვრული კითხვა კლასების მიხედვით. მახარაძის I საშ. სკოლის ბიბლიოთეკასთან ნორჩ მკითხველთაგან შექმნილია მხატვრული კითხვისა და წიგნის მეგობართა წრეები, რომლებიც გარკვეულ დახმარებას უწევენ ბიბლიოთეკარს წიგნის პროპაგანდის საქმეში. ეწყობა წიგნის თემატური გამოფენები, ახალი წიგნების გამოფენა, გაკრულია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, წიგნის გაცემის განრიგი კლასების მიხედვით, ბიულეტენები, კედლის გაზეთი და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ღონისძიება, რომელსაც ამჟამად ამზადებს მახარაძის 1 საშუალო სკოლა. ეს არის ე. წ. წიგნის კვირეული. აღნიშნული ღონისძიება მეტად საინტერესოდ, შინაარსიანად და მიმზიდველად არის მოფიქრებული, მის მზადებაში ჩაბმულია მოსწავლეთა დიდი ჯგუფი და იგი ეძღვნება სკოლის არსებობის 122 წლისთავს.

მაგრამ ზოგიერთი შემოწმებული ბიბლიოთეკების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები. კერძოდ, სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ზემონატანების საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი—შალვა მოსეს ძე ბალათურია. ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი ოთახი—სკოლიდან მოშორებითაა და იგი წიგნების საწყობს უფრო ჰგავს ვიდრე ბიბლიოთეკას; შეიძლება ითქვას, რომ იგი არავითარ მომსახურებას არ უწევს არც მოსწავლეებს და არც მასწავლებლებს. წიგნები უწესრიგოდაა შეყრილი კარადებში, ხოლო კარადები ჩაკეტილია საკეტით. ბალათურია სპეციალობით გეოგრაფია და, მიუხედავად იმისა, რომ 5 წელია ამ ბიბლიოთეკაში მუშაობს, მას საბიბლიოთეკო საქმის ცოდნა არ გააჩნია. აქ წესრიგში არ არის საინვენტარო წიგნები, რომლებიც არ არის ზონარგაყრილი დალუქული და ხელმოწერილი. ბიბლოთეკაში არ არსებობს მკითხველთა ფორმულარები, წიგნები არ არის დამუშავებული ბიბლიოთეკურად და ცხადია, არ სწარმოებს საკატალოგო მუშაობა.

სამუშაო გეგმა მეტად ღარიბია, იგი არ ითვალისწინებს მასობრივი ხასიათის ღონისძიებებს, არ ეწყობა წიგნების თემატური გამოფენები, ან ახალი წიგნების გამოფენა. არ არის შედგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, არ არსებობს შთაბეჭდილებათა დავთარი.

შ. ბალათურია ვერ შესძლებს სათანადო მუშაობის გაშლას ბიბლიოთეკაში და იგი უნდა შეიცვალოს ამ საქმის მცოდნე, მონდომებული მუშაკით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის II (ბიბლიოთეკის გამგე ვ. შაფაქიძე), შემოქმედის (გ. მახარაძე), დვაბზუს (შ. ჯინჭარაძე) და ბახვის (ნ. გაბუნია) საშუალო სკოლების ბიბლიოთეკებში გარკვეული მუშაობა ტარდება ნორჩ მკითხველთა შორის, მაგრამ მათ მუშაობაში შეინიშნება ზოგიერთი ნაკლოვანებები, მაგალითად:

მახარაძის II, ბახვის და შემოქმედის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკებში წესრიგში არ არის საინვენტარო წიგნები, მთლიანად მოგვარებული არ არის წიგნების ტექნიკურად დამუშავება და საკატალოგო მუშაობა.

ბახვისა და დვაბზუს საშუალო სკოლების ბიბლიოთეკები არასაკმაოდ ატარებენ მასობრივი ხასიათის ღონისძიებებს: მკითხველთა კონფერენციებს, ლიტერატურულ დილა-საღამოებს, წიგნის ხმამაღალ კითხვას და სხვა.

სოფ. შემოქმედის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა ზოგადი ხასიათის მუხლებისაგან შედგება.

საერთოდ, მახარაძის რაიონის შემოწმებულ სკოლებში თითქმის არ არის გამოწერილი რუსული საბავშვო და მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალები: „მურზილკა“, „პიონერი“, „ვოჟატი“, „ზნანიე სილა“, „ტეხნიკა მოლოდეჟი“ და სხვა, რასაც მომავალში უნდა მიექცეს ყურადღება. ყველა შემოწმებულ ბიბლიოთეკაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მკითხველთა რაოდენობის ზრდას და წიგნადი ფონდის ბრუნვის გაფართოებას.

პედაგოგიურ-მეთოდურ მოთხოვნათა შესაბამისად არ არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი ბახვის, ზემონატანების, დვაბზუს საშუალო სკოლებში, სასწავლო დღეებში გაკვეთილები თანაბარი სიძნელის მიხედვით არ არის განაწილებული, არის მოსწავლეთათვის ძნელი და იოლი დღეები, სამსაათიანი სასწავლო დისციპლინები უშუალედოდაა განაწილებული, ორი და ერთსაათიანი დისციპლინები ცხრილში ორშაბათს და შაბათსაა მოთავსებული, ერთფეროვანი საგნები—ენები ან მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ცხრილში მიჯრით, ერთმანეთზე მიყოლებითაა მოქცეული. ძნელად ასათვისებელი საგნები კი ზოგჯერ უკანასკნელ მე-6 გაკვეთილებად არის ცხრილში შეტანილი.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმებული სკოლების პედაგოგიური საბჭოების მუშაობა, პედსაბჭოს სხდომებზე საკითხები ღრმად და საფუძვლიანად არ არის განხილული. დადგენილებებიც არაა კონკრეტული, მასწავლებლებსა და კლასის ხელმძღვანელებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად არა აქვთ მიცემული დავალება-მითითებანი. მაგალითად, ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულია IX—X კლასებში მათემატიკის სწავლების საკითხი. ოქმში არაფერია ნათქვამი IX კლასში არსებული ძიმე მდგომარეობის შესახებ, ხოლო X კლასზე სრულიად არ არის ლაპარაკი და ეს ბუნებრივიცაა რადგან საკითხი გამოტანილი აქვს X კლასების მათემატიკის მასწავლებელს.

ნაკლოვანებებია აგრეთვე სკოლის გეგმიანობის საქმეში, წლიურ გეგმებში არ ჩანს სასწავლო დისციპლინების სწავლების, საპროგრამო მასალების გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, მოსწავლეთა ესთეტიკური, იდეური, ათეისტური აღზრდის საკითხების შემოწმება.

შ, ლომიძე
ე. აგლაძე
თ. მელქაძე
გ. გიორგობიანი
ბ. გოგოლაძე
თ. ხურცილავა
ტ. ჩიგოგიძე
ი. ვარლამიშვილი
გ. მირცხულავა
ს. ჯინჯიხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 28 ივნისის ბრძანება № 413

### რესპუბლიკის სკოლებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობის შესახებ

1968 წლის აპრილის თვეში შემოწმდა ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებისა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მდგომარეობა ხობის, ჩხოროწყუს, ყვარლის, მცხეთის, წულუკიძის, მახარაძის რაიონებისა და ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო დღისა და საღამოს (ცვლის) სკოლებში.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმრავლესობა მთელი სერიოზულობით მოეკიდა იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც დასახულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებით—საზოგადოებათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების შესახებ.

რიგ სკოლებში კარგადაა დაყენებული ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება, მასწავლებლები მოხერხებულად, მიზნობრივად უკავშირებენ საპროგრამო მასალას კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებს; მოსწავლეებს ზრდიან საბჭოთა ხალხის რევოლუციურ და შრომით ტრადიციებზე უვითარებენ მათ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალ გრძნობებს, ზრდიან სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: ვ. ბიგვავა (ხობის პირველი საშუალო სკალა); ა. გოგია (ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევის საშუალო სკოლა); ვ. ჩიქოვანი (ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურის საშუალო სკოლა); ს. ბებია, ვ. ჟვანია (ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლა); ნ. ნაბორაშვილი (სოფ. შილდას საშუალო სკოლა); ლ. სეფაშვილი (ყვარლის პირველი საშუალო სკოლა), ა. ავგა-

როზაშვილი (სოფ. გრემის რვაწლიანი სკოლა), ვ. ბაწილაშვილი (სოფ. ენისელის საშუალო სკოლა) და სხვა.

აღნიშნული მასწავლებლები საფუძვლიანად ფლობენ საგანს, გულმოდგინედ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, გონივრულად, მოხერხებულად იყენებენ დამხმარე ლიტერატურასა და ცხოვრებისეულ მაგალითებს საპროგრამო მასალის გასამდიდრებლად; მიზანობრივად იყენებენ თვალსაჩინოებას სწავლებაში. ზოგიერთი მასწავლებელი თვითონ ქმნის თვალსაჩინოებას მოსწავლეთა მონაწილეობით და სისტემატურად იყენებს მას გაკვეთილზე. ბევრ სკოლაში არსებობს კარგად მოწყობილი ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტები, სადაც წარმოებს სასწავლო კინოფილმების, დიაფილმებისა და დიაპოზიტივების დემონსტრირება, მოწყობილია აგრეთვე შრომითი და საბრძოლო დიდების ამსახველი სტენდები, პერიოდულად ეწყობა ექსკურსიები მუზეუმებში, გამოფენებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად.

მაგრამ, მოწინავე, შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებლების გვერდით გვხვდებიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც გულგრილობას იჩენენ, არ ცდილობენ აიმაღლონ პროფესიული და პოლიტიკური მომზადების დონე, ნაკლებად კითხულობენ მეთოდურ ლიტერატურას, ორგანიზაციულად სწორად ვერ წარმართავენ გაკვეთილს. ახალ მასალას ხსნიან ზერელედ, უინტერესოდ, ზოგჯერ უშვებენ ფაქტობრივსა და ენობრივ შეცდომებს. დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე ტარდება ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილები ყვარლის რაიონის სოფ. გავაზის საშუალო (მასწავლებელი ა. ბულბულიშვილი), ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურის რვაწლიან (მასწავლებელი მ. ჩიქოვანი) და ყვარლის მუშა ახალგაზრდობის საშუალო (მასწავლებელი გ. გურასპიშვილი) სკოლებში.

განსაკუთრებით ცუდად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს მასწავლებელი ა. ბულბულიშვილი. მან ა/წ 25 აპრილს უაღრესად დაბალ იდეურ და მეთოდურ დონეზე ჩაატარა გაკვეთილი საზოგადოებათმცოდნეობაში. აღნიშნული მასწავლებელი თვითნებურად, ქაოტიურად წარმართავს პროგრამული მასალის შესწავლას. საზოგადოებათმცოდნეობაში საპროგრამო მასალის შესწავლა მან ადრე, მარტის პირველი რიცხვისათვის დაამთავრა; სუსტად ერკვევა იგი განმეორებითი გაკვეთილის თავისებურებებში, სწორად ვერ გეგმავს მას. X კლასში მან 37 წუთი მოანდომა

მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ფრონტალურ შემოწმებას და დარჩენილი დროის განმავლობაში ვერ შეძლო გასამ[illegible] გათვალისწინებული თემის—„შრომითი ურთიერთობანი სსრ კავშირში“—მიმოხილვა. კლასს დაუსვა ენობრივად და შინაარსობრივად გაუმართავი კითხვები: „რა არის სოციალიზმის პრინციპი“, „კომუნიზმის საფუძვლები მარქსმა რომელ ნაშრომში მოგვცა“? „როგორ იქნება კომუნიზმის დროს, რით მივაღწევთ კომუნიზმის დროს მოთხოვნილების მიხედვით განაწილებას“? და სხვა.

ასეთივე უინტერესო, სქემატური იყო მის მიერ მეათე კლასში ისტორიაში ჩატარებული გაკვეთილი. მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული ისტორიული მასალის თანმიმდევრულად, დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, ვერ ახდენენ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაანალიზებასა და განზოგადებას, უშვებენ ფაქტობრივსა და ენობრივ შეცდომებს, რასაც მასწავლებელი უყურადღებოდ ტოვებს. მიუხედავად მოსწავლეთა დაბალი მომზადებისა, $X^1$ და $X^2$ კლასების ყველა 45 მოსწავლე ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში დამაკმაყოფილებლადაა შეფასებული; აქედან ჩანს, რომ აღნიშნული მასწავლებელი ლიბერალურად ეკიდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას.

ცუდად ასწავლის ისტორიას ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი მ. ჩიქოვანი. დასახელებული მასწავლებელი სპეციალობით გეოგრაფია და ისტორიას ასწავლის შეთავსებით. იგი სუსტად ერკვევა ანტაგონისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის არსში, ზოგჯერ მცდარად განმარტავს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს. სათანადოდ ვერ ფლობს ისტორიულ ტერმინოლოგიას, მტკიცედ არ აქვს ათვისებული ისტორიულ პირთა სახელები. მაგ., ოქტავიანე ავგუსტი მან ორ სხვადასხვა პიროვნებად—ოქტავიანედ და ავგუსტად გააცნო მოსწავლეებს.

ვერც ამავე სკოლის დირექტორი (სპეციალობით გეოგრაფი) ლ. ჩიქოვანი ასწავლის ისტორიას სათანადოდ; მიუხედავად იმისა, რომ იგი კეთილსინდისიერად ემზადება გაკვეთილისათვის, მაინც უშვებს ფაქტობრივ შეცდომებს. მაგ. VI კლასში „ნიდერლანდების რევოლუცია“, რომლის პროცესში პარალელურად წყდებოდა ორი ძირითადი ამოცანა—ესპანეთის ბატონობისაგან განთავისუფლება და ქვეყნის შიგნით ფეოდალური ურთიერთობის მოსპობა, ახსნის

დროს მასწავლებელმა ფაქტიურად მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ ილაპარაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება ყვარლის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (მასწ. გ. გურასპიშვილი), ხობის რაიონის სოფ. ხეთის საშუალო სკოლაში (მასწ. დ. ბუკია), ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლესიჭინის პირველ საშუალო (მასწ. კ. ჯალაღონია), ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხოვოს საშუალო სკოლაში (მასწ. ტ. დარსალია). მასწ. გურასპიშვილის კლასმა ა/წ 22 აპრილს გაკვეთილის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნა: მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელმა წინასწარ შეახსენა მოსწავლეებს დავალების ძირითადი საკითხები ვერცერთმა გამოძახებულმა მოსწავლემ ვერ შესძლო მათი სათანადოდ გაშუქება. მათ ვერ განსაზღვრეს რა არის ფეოდალური წყობილება. სუსტად ერკვევიან რუსეთის ჩამორჩენილობის მიზეზებში; გამოძახებული ხუთი მოსწავლის პასუხი მასწავლებელმა უარყოფითად შეაფასა. გაკვეთილი ჩატარდა ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე, ახალი- მასალა კლასმა ვერ აითვისა. უაღრესად დაბალია მოსწავლეთა მეტყველების კულტურა. ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნეოდა VI კლასშიაც, სადაც იგივე მასწავლებელი ასწავლის.

რესპუბლიკის სკოლებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაზე. პერიოდულად შეისწავლონ ამ საგნების სწავლების მდგომარეობა სკოლებში და შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და განათლების განყოფილებათა საბჭოს სხდომებზე;

ბ) მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებისთანავე გადასინჯონ საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა შემადგენლობა და უფროს კლასებში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებად გაითვალისწინონ გამოცდილი, საგნის მცოდნე და ავტორიტეტიანი მასწავლებლების დანიშვნა.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გაზარდონ მომთხოვნელობა ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებისადმი, სისტემატურად შეამოწმონ აღნიშნული საგნების სწავლების მდგომარეობა. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ ღია გაკვეთილები და მასწავლებელთა ურთიერთ დასწრება, გააანალიზონ და განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საპროგრამო მოთხოვნების შესრულებას — მოსწავლეებში ისტორიული მასალის ანალიზისა და განზოგადების, დროსა და სივრცეში ფაქტებისა და მოვლენების ლოკალიზების, მარქსიზმ-ლენინიზმის ნაწარმოებებზე, მხატვრულ და სხვა დამხმარე ლიტერატურაზე მუშაობის უნარჩვევების გამომუშავების საქმეს.

3. ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებმა:

ა) იმპერიალისტურ ძალებთან გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის, საბჭოთა ხალხისათვის უცხო გავლენის შეღწევის წინააღმდეგ; თანმიმდევრულად გაუღვივონ საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, აღზარდონ ისინი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან სოლიდარობის სულისკვეთებით;

ბ) აამაღლონ სწავლების ხარისხი, გაამდიდრონ და მრავალფეროვანი გახადონ სწავლების ფორმები და მეთოდები, მტკიცედ იხელმძღვანელონ პროგრამის განმარტებითი ბარათით გათვალისწინებული მოთხოვნებით, მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გასაუმჯობესებლად. საპროგრამო მასალის სწავლებისას სისტემატურად გამოიყენონ მხატვრული ნაწარმოებები, ქრესტომათიები, ისტორიულ და სამხედრო პირთა მემუარები და სხვა დამხმარე ლიტერატურა;

გ) უფროსი კლასების მოსწავლეებში ფართოდ დანერგონ მარქსიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებსა და პარტიულ დოკუმენტებზე მუშაობის ჩვევები. საპროგრამო მასალის გასათვალისწინებლად ფართოდ გამოიყენონ სასწავლო ფილმები, დიაპოზიტივები და სხვა თვალსაჩინოება;

დ) სისტემატურად მოაწყონ ექსკურსიები საწარმოო-დაწესებულებებში, მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიე-

რებლად, ფართოდ ჩააბან მოსწავლეები სამხარეთმცოდნეო მუშაო-ბაში და აღნიშნული ღონისძიებანი უნარიანად შეუხამონ საპრო-გრამო მასალის შინაარსს.

4. ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე დ. ლაფაჩიშვილი) ჩამოართვას საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთი-ლები მასწავლებელ ა. ბულბულიშვილს და გაატაროს საჭირო ღონისძიება სოფ. გავაზის საშუალო სკოლაში ამ საგნის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

5. მიღებული იქნას ცნობად, რომ ჩხოროწყუს რაიონის გა-ნათლების განყოფილებამ ჩამოართვა ისტორიის გაკვეთილები სოფ. მუხურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს მ. ჩიქოვანს, როგორც არასპეციალისტს და მიღებულია ზომები აღნიშნულ სკოლაში ამ საგნის სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

6. გაზეთ „სახალხო განათლებამ“(რედაქტორი ამხ. ნ. შველი-ძე) და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ (რედაქტორი გ. საჯაია) სისტემატურად გააშუქონ ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნე-ობის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 28 ივნისის ბრძანება № 417

### სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ქსელისა და კონტინგენტის მაჩვენებლებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ივნისის № 321 დადგენილების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1968—1969 სასწავლო წლისათვის გარდაიქმნას განთიადის № 1, ხულოს, ფოთის, ახალციხის № 2, ახმეტის, სალხინოს, კაჭრეთის, ახალსოფლის, კასპის, ყვარლის, ლენტეხისა და თელავის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები საშუალო სკოლა-ინტერნატებად, ხოლო აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის მიუსერას საბავშვო სახლი და ჩოხატაურის რაიონის კოხნარის სკოლა-ინტერნატი გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა (დამხმარე) სკოლა-ინტერნატებად, საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სკოლა-ინტერნატებისათვის გათვალისწინებული ხელფასის ფონდისა და ასიგნებათა ფარგლებში.

2. დამტკიცდეს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ქსელი 1968 წლის პირველი სექტემბრისათვის—42 საშუალო, 25 რვაწლიანი, 14 სპეციალური სკოლა-ინტერნატი და 25 საბავშვო სახლი №№ 1, 2, 3 და 4 დანართების თანახმად.

3. გადანაწილებულ იქნეს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების 1968—1969 სასწავლო წლის აღსაზრდელთა კონტინგენტი № 5 და № 6 დანართების თანახმად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მოამზადოს პროექტი სახალხო

მეურნეობის 1968 წლის სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1968 წლის 28 ივნისის № 417 ბრძანების
დანართი № 1

# სია

## საშუალო სკოლა-ინტერნატებისა (1968 წლის I სექტემბრისათვის)

1. ქ. სოხუმის № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ქ. სოხუმის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. სოფ. განთიადის № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. სოფ. დრანდის ნ. ოსტროვსკის სახ. საშუალო სკოლა-ინტერნატი
5. ქ. ბათუმის № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატი
6. ქ. ბათუმის №2 (სალიბაურის) საშუალო სკოლა-ინტერნატი
7. სოფ. კირნათის საშუალო სკოლა-ინტერნატი
8. სოფ. მახუნცეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
9. სოფ. ჩაისუბნის საშუალო სკოლა-ინტერნატი
10. დაბა ხულოს საშუალო სკოლა-ინტერნატი
11. ქ. ცხინვალის საშუალო სკოლა-ინტერნატი
12. დაბა ჯავის საშუალო სკოლა-ინტერნატი
13. ქ. თბილისის საშუალო სკოლა-ინტერნატი
14. ვ. ნ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატი
15. ქ. ქუთაისის საშუალო სკოლა-ინტერნატი
16. ქ. ფოთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
17. ქ. რუსთავის ქიმიის საშუალო სკოლა-ინტერნატი
18, ქ. ახალქალაქის საშუალო სკოლა-ინტერნატი
19. ქ. ახალციხის № I საშუალო სკოლა-ინტერნატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20. ქ. ახალციხის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი
21. დაბა ახმეტის საშუალო სკოლა-ინტერნატი
22. სოფ. კოჯრის საშუალო სკოლა-ინტერნატი
23. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპეციალური სპორტული № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატი
24. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპეციალური სპორტული № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი
25. დაბა გეგეჭკორის საშუალო სკოლა-ინტერნატი
26. სოფ. სალხინოს საშუალო სკოლა-ინტერნატი
27. სოფ. ატენის საშუალო სკოლა-ინტერნატი
28. ქ. გურჯაანის საშუალო სკოლა-ინტერნატი
29. სოფ. კაჭრეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
30. ქ. დუშეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
31. სოფ. ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი
32. ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატი
33. სოფ. ახალსოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატი
34. ქ. კასპის საშუალო სკოლა-ინტერნატი
35. დაბა ყვარლის საშუალო სკოლა-ინტერნატი
36. დაბა ლენტეხის საშუალო სკოლა-ინტერნატი
37. ქ. მარნეულის საშუალო სკოლა-ინტერნატი
38. ქ. თელავის საშუალო სკოლა-ინტერნატი
39. დაბა თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
40. ქ. ცხაკაიას საშუალო სკოლა-ინტერნატი
41. სოფ. ბროწეულას საშუალო სკოლა-ინტერნატი
42. ქ. წულუკიძის საშუალო სკოლა-ინტერნატი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1968 წლის 28 ივნისის № 417 ბრძანების
დანართი № 2

# ს ი ა

## რვაწლიანი სკოლა-ინტერნატებისა (1968 წლის I სექტემბრისათვის)

1. სოფ. განთიადის № 2 რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
2. სოფ. ბაბუშერას რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
3. სოფ. კალდახვარის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
4. ქ. თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
5. ქ. ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
6. სოფ. ახალდაბის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
7. დაბა ბოგდანოვკის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
8. სოფ. ბეთანიის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
9. ქ. ზუგდიდის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
10. სოფ. ინგირის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
11. დაბა ყაზბეგის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
12. ქ. ლანჩხუთის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
13. ქ. ლაგოდეხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
14. ქ. მახარაძის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
15. სოფ. საგურამოს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
16. სოფ. კიცხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
17. სოფ. ბოდბის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
18. დაბა თეთრიწყაროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი.
19. სოფ. ტაშისკარის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

20. დაბა ლაჯანურის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

21. დაბა წალენჯიხის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ქ. წითელწყაროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

23. სოფ. გორდის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

24. დაბა ჩხოროწყუს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

25. დაბა მესტიის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1968 წლის 28 ივნისის № 417 ბრძანების
დანართი № 3

# სია

## საბავშვო სახლებისა (1968 წლის I სექტემბრისათვის)

1. ქ. ბათუმის საბავშვო სახლი
2. დაბა მახინჯაურის საბავშვო სახლი
3. დაბა ლენინგორის საბავშვო სახლი
4. სოფ. ქურთის საბავშვო სახლი
5. ქ. თბილისის საბავშვო სახლი
6. ქ. ჭიათურის საბავშვო სახლი
7. ქ. რუსთავის საბავშვო სახლი
8. დაბა ასპინძის საბავშვო სახლი
9. დაბა სამგორის საბავშვო სახლი
10. კოჯრის № 1 საბავშვო სახლი
11. კოჯრის № 2 საბავშვო სახლი
12. კოჯრის 3 საბავშვო სახლი
13. კოჯრის 4 საბავშვო სახლი
14. კოჯრის 5 საბავშვო სახლი
15. კოჯრის 6 საბავშვო სახლი
16. დაბა გეგეჭკორის საბავშვო სახლი
17. სოფ. კარდანახის საბავშვო სახლი
18. ქ. ონის საბავშვო სახლი
19. სოფ. ეწრის საბავშვო სახლი
20. ქ. საჩხერის საბავშვო სახლი
21. ქ. თელავის საბავშვო სახლი

22. სოფ. შუამთის საბავშვო სახლი
23. სოფ. ვაშლოვანის საბავშვო სახლი
24. გ. დიმიტროვის სახელობის სურამის საბავშვო სახლი
25. დაბა ჩოხატაურის საბავშვო სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი ვ. **ჩინჩალაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1968 წლის 28 ივნისის № 417 ბრძანების
დანართი № 4

# სია

## სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა (1968 წლის I სექტემბრისათვის)

1. სოფ. მიუსერას დამხმარე სკოლა-ინტერნატი
2. ქ. თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
3. ქ. თბილისის ყრუ-ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
4. ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი
5. ქ. თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერანტი
6. ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
7. ქ. ქუთაისის ყრუ-ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
8. ქ. ქუთაისის (გუმათის) დამხმარე სკოლა-ინტერნატი
9. ქ. ჭიათურის (ზუნიკაურის) დამხმარე სკოლა-ინტერნატი
10. ქ. ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატი
11. ქ. სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატი
12. ქ. სამტრედიის სპეციალური სკოლა
13. სოფ. კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1968 წლის 28 ივნისის № 417 ბრძანების
დანართი № 5

## სკოლა ინტერნატების 1968 წლის კონტინგენტის ნაწილობრივი გადანაწილება

| №№ რიგზე | ქალაქები და რაიონები | შემცირდეს კონტინგენტი | გადიდდეს კონტინგენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი . . . . . . . . . | 35 | — | |
| 2 | ქ. ქუთაისი . . . . . . . . . | 70 | — | |
| 3 | ახალქალაქის რაიონი . . . . . | 35 | — | |
| 4 | გარდაბნის რაიონი . . . . . . | 60 | — | |
| 5 | ქ. ზუგდიდი . . . . . . . . . | 30 | — | |
| 6 | მახარაძის რაიონი . . . . . . | 35 | — | |
| 7 | აჭარის ასსრ . . . . . . . . . | 30 | — | |
| 8 | ზუგდიდის რაიონი . . . . . . | 25 | — | |
| 9 | ჩხოროწყუს რაიონი . . . . . . | 35 | — | |
| 10 | საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპ. ბიუჯეტით (გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატი) . . . . . . . . . . | 25 | — | |
| 11 | აფხაზეთის ასსრ . . . . . . . | — | 210 | |
| 12 | ქ. რუსთავი . . . . . . . . . . | — | 40 | |
| 13 | ახალციხის რაიონი . . . . . . | — | 30 | |
| 14 | გურჯაანის რაიონი . . . . . | — | 30 | |
| 15 | წითელწყაროს რაიონი . . . . | — | 35 | |
| 16 | სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი . | — | 35 | |
| | სულ . . . . . . . | 380 | 380 | |

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი ვ. ჩიჩინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1968 წლის 28 ივნისის № 417 ბრძანების
დანართი № 6

**საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1968 წლის კონტინგენტის ნაწილობრივი გადანაწილება**

| №№ რიგზე | ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქები და რაიონები | კონტინგენტი შემცირებით | კონტინგენტი გადიდებით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . | 100 | — | |
| 2 | საქ. სსრ განათ. სამინისტროს რესპ. ბიუჯეტით (ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი . . . . . . . . . | 70 | — | |
| 3 | ქ. თბილისის . . . . . . . . . | — | 30 | |
| 4 | აჭარის ასსრ . . . . . . . . | — | 10 | |
| 5 | სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი . . | — | 10 | |
| 6 | გარდაბნის რაიონი . . . . . | — | 40 | |
| 7 | სამტრედიის რაიონი . . . . . | — | 10 | |
| 8 | საქ. სსრ განათლ. სამინისტროს რესპ. ბიუჯეტით (სამტრედიის სპეციალური სკოლა) . . . . | — | 70 | |
| | ს უ ლ . . . . . . . | 170 | 170 | |

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 346—ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩაბმის შესახებ . . . 3
2. ბრძანება № 384—ნორჩ მხაზველთა მეექვსე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მეშვიდე კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . 6
3. ბრძანება № 387—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . 22
4. ბრძანება № 389—მშობლიურ ლიტერატურასა და მათემატიკაში ჩატარებული რესპუბლიკური ოლიმპიადების წინასწარი შედეგების შესახებ . . 29
5. Приказ № 391—О выполнении плана строительства объектов просвещения в 1967 г. по госкапвложению . . . 32
6. ბრძანება № 400—სტატისტიკური ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . 38
7. Положение Республиканской детско—юношеской школы высшего спортивного мастерства Министерства просвещения Грузинской ССР 42
8. დადგენილება 1968—1969 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ . . . 51
9. ბრძანება № 382—მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ . . . 54
10. ბრძანება № 388—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობის შესახებ 64
11. ბრძანება № 395—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში განათლებაზე გამოყოფილი ფულადი სახსრების ხარჯვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ . . . 75
12. ბრძანება № 307 მ/399—საბავშვო სახლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . 84
13. ბრძანება № 405—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის 1968 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ . . . 91
14. ბრძანება № 406—მახარაძის რაიონის სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 94
15. მოხსენებითი ბარათი მახარაძის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 97
16. ბრძანება № 413—რესპუბლიკის სკოლებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . 122
17. ბრძანება № 417—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ქსელისა და კონტინგენტის მაჩვენებლებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ 128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. თბოლაძე

კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI-68 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 9.

შეკ. № 617. უე—11670 ტირაჟი 5000.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Главполиграфпрома госкомитета по печати при Совете Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19.